ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№203 (12578) 30 აგვისტო შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

თასი
კუპერთან
ერთად
»»» 3



# ასათიანი კიევის დინამოში, მჭედლიძე პალერმოში

სერიოზული
გადაადგილებები

»»» 2



## დღეს ესპანეთი და იტალია იწყებენ

წინასასეზონო »»» 8-11



ოლიმპიადის შემდეგ

## გული უნდა გულობდეს!

ინტერვიუ გიორგი ასანიძესთან »»» 13

## ზენიტი ევროპას თავზე ნამოაჯდა

სუპერთასი. ფეხბურთს ხელბურთით ვერ მოიგებ »»» 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები. ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან

# მჯერა, პალერმოში დამკვიდრებას შევძლებ



ლევან მჭედლიძე

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ნაკრების ფორვარდ ლევან მჭედლიძესთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მაშინ ლევანმა გვითხრა, რომ მის ტრანსფერზე 25 აგვისტოს მილანში მოლაპარაკებები დაიწყებოდა. მერე ვწერდით, რომ მოლაპარაკებები კლუბებს შორის დაიწყო და ლევანს იტალიაში ელოდნენ. სატრანსფერო პერიოდი 31 აგვისტოს მთავრდება. შესაბამისად, ლევან მჭედლიძის ტრანსფერს მოკლე ხანში უნდა დასმოდა წერტილი.

გუშინ, ნაშუადღევს შევიტყვეთ, რომ ლევან მჭედლიძის გადაბირების საქმეში „პალერმო" იყო ფავორიტი. საღამოს კი ეს ინფორმაცია თბილისში, მჭედლიძეები ოჯახშიც დაგვიდასტურეს. ტრანსფერი საღამოს იტალიურმა ვებგვერდმა „მედიაგოლმაც" დაადასტურა. ყოველივე ამის შემდეგ იტალიაში მჭედლიძეს დავუკავშირდით.

- დიახ, მოლაპარაკებები 28 აგვისტოს, გვიან ღამით დასრულდა. დღეს კიდევ ერთხელ შევხვდი „პალერმოს" წარმომადგენლებს და კონტრაქტიც გავაფორმე.

**- ხელშეკრულება რა ხანგრძლივობისაა?**

- ორწლიანი კონტრაქტია. „ემპოლიმ" ბოლომდე არ დამთმო და საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა.

**- მუდმივნომრიანი მაისურა ხომ არ შეგირჩევია?**

- ჯერ არა.

**- შენით „იუვენტუსი", „მილანი", „ინტერი", „ბაიერნი" იყვნენ დაინტერესებულები. ამ ფონზე გასაოცარიც კი იყო „პალერმოში" შენი გადასვლა. ამას რით ახსნი?**

- ტრანსფერს არაერთი ნიუანსი ახლავს თან. კლუბები ერთმანეთში უნდა მორიგდნენ, ასევე თავად ფეხბურთელიც კმაყოფილი უნდა იყოს შეთავაზებული პირობებით. მოთამაშეს ერთგვარი გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი მიეცემა... ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, არჩევანი „პალერმოზე" შევაჩერე.

**- „პალერმოში" მთავარ გუნდში თამაშის საშუალება თუ მოგეცემა?**

- „ემპოლიში" ყველა მაფასებდა და მათგან მხარდაჭერასაც ვგრძნობდი, მაგრამ მთავარ გუნდში თამაში მინდოდა. სიცილიელთა გუნდში გადასვლა ამ ფაქტორმაც გადამაწყვეტინა. ახალი კლუბის ხელმძღვანელები დამპირდნენ, რომ შანსი მომეცემა. ერთი სიტყვით, იმის გარანტიას არავინ მოგცემს, მით უმეტეს ახალ ფეხბურთელს და თანაც ახალგაზრდას, რომ ძირითადში მუდმივად იქნები. მჯერა, რომ მწვრთნელები მთავარ გუნდს ნელ-ნელა შემაჩვევენ და ეტაპობრივად მომამზადებენ სასტარტო შემადგენლობისთვის. ამ შემთხვევაში ბევრი რამ ჩემზე იქნება დამოკიდებული. ვგრძნობ, რომ თამაშს ვუმატებ, მინდა, ახალ დონეზე მოვსინჯო ძალები და მჯერა, „პალერმოში" დამკვიდრებას შევძლებ.

**- რამდენად კარგად გიცნობენ ახალი გუნდის მესვეურები?**

- ჩემი თამაში ნანახი აქვთ. უელსში ჩვენი ნაკრების თამაშზეც იყვნენ ჩამოსულები. უდინეში საქართველოს ნაკრების იტალიასთან მატჩს თავისთავად ნახავენ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მაინცში ირლანდიასთან თამაშსაც დაესწრონ.

**- კლუბში შენი ოფიციალური წარდგენა როდის შედგება?**

- ალბათ სანაკრებო თამაშების შემდეგ. კვირას მაინცში გავემგზავრები და ნაკრებს იქ შევუერთდები. ახალ გუნდში 11 სექტემბერს დავბრუნდები და პრეზენტაციაც მერე იქნება.

დავით ცაბაძე



დავით დევდარიანი

# დევდარიანი დანიაში მიდის

## კონტრაქტი მზადაა და ხელს მოვაწერ

გასული სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა დათო დევდარიანი „ფონდმა არველაძემ" კარგ გზაზე დააყენა. იმ დროს, როდესაც ნახევარი საქართველო რუსეთისა და უკრაინის დაბალ ლიგებში, ასევე მეზობელი აზერბაიჯანის მაჩანჩალა გუნდებში თამაშზეც თანახმაა, არველაძეებმა ნიჭიერ ქართველს რეკომენდაცია დანიის სასლიგის (უმაღლესი დივიზიონის) „ორჰუსში" გაუწიეს - მოწესრიგებული ხალხის მოწესრიგებულ ქვეყანაში.

რუსთაველთა ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ გვითხრა: *„გეხსომებათ, რომ დათო დანიაში გასასინჯად იყო, სადაც უმაღლესი ლიგის „ორჰუსს" თავი მოაწონა. როგორც ვიცი, კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს. დევდარიანმა დანიის ვიზა აიღო, გათავისუფლების ფურცელი მიიღო და დღეს დაგვემშვიდობა."* დათოს დანიაში გამგზავრებამდე და ვუკავშირდით:

**- დათო, „ოლიმპში" გვითხრეს, რომ დანიაში მიდიხარ.**

- დიახ, გუნდს დავემშვიდობე, გათავისუფლების ფურცელი მომცეს, მაგრამ დანიიდან ორ დღეში უნდა დავბრუნდე.

**- რატომ?**

- ნაკრებში გამომიძახეს და შეკრებას ხომ არ გამოვტოვებ? კლუბთან აკავშირებით ყველაფერი წესრიგშია.

**- „ორჰუსთან" კონტრაქტი გამზადებული გაქვს?**

- დიახ, კონტრაქტი წინასწარ შევათანხმეთ. როცა ჩავალ, მენეჯერთან ერთად, კიდევ ერთხელ გადავიკითხავ და ხელს მოვაწერ. როდესაც გამსინჯეს, ჩემი ჩარიცხვა ჯერ კიდევ მაშინ იყო გადაწყვეტილი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ სასურველ ლიგაში ჩარიცხვის შანსი მომეცა.

**- ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სეზონი დაიწყო და აქამდე საქართველოს როგორ შემორჩი?**

- ერთი თვე ვიზას ველოდებოდი, მერე ომი დაიწყო და ვიზისთვის ვის ეცალა?

**- ალბათ, მსგავსი პრობლემების გამო ფეხბურთელებს პოლიტიკოსებზე მეტად გენდომებათ ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანება - ვიზაზე ლოდინი აღარ მოგიწევთ.**

- რა თქმა უნდა, ასეა. იმედია, ეს დრო მალე მოვა.

**- მართალია, რომ „ორჰუსთან" გარდა რუსეთში წასვლასაც გთავაზობდნენ.**

- არა, რუსული ვარიანტი არ მქონია და სიმართლე გითხრათ, რომც ეთქვათ, უარს ვიტყოდი - რუსეთში არ წავიდოდი, მაგათი ხსენებაც არ მინდა.

მერაბ მამულაშვილი

# სიომინმა თავისი გაიტანა, ასათიანი კიევის დინამოში

## დეკემბრამდე იჯარა, ახალი წლიდან კონტრაქტი

გუშინ მალხაზ ასათიანმა რუსეთი დატოვა და კიევის "დინამოში" გადავიდა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ცენტრალური მცველი გუშინ კიევში ჩავიდა და გუნდთან ერთად პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. სენსაციური ინფორმაცია გუშინ შევიტყვეთ, რუსულმა ვებგვერდებზე კი ნაწილობრივ დადასტურდა. მალხაზი კიევში კიდევ ორი დღით დარჩება, შემდეგ მაინცში საქართველოს ნაკრებს შეუერთდება, ირლანდიასა და იტალიასთან ითამაშებს და კიევში დაბრუნდება. მალხაზს "დინამოსთან" კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, რადგან კიეველთა პრეზიდენტი **იგორ სურკისი** და მთავარი მწვრთნელი **იური სიომინი** ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრას ესწრებოდნენ, ამიტომ უკრაინაში არ იმყოფებოდნენ.

საკითხი მოსკოვის "ლოკომოტივთან" უკვე მოგვარებულია. სწორედ იური სიომინის დამსახურებაა ასათიანის მოსკოვში ჩაყვანა და დიდი გზაზე მისი დაყენება. კიევში ჩასვლისთანავე იური პავლოვიჩი ქართველის ტრანსფერზე ფიქრობდა. თუმცა სურკისის განცხადებით ტრანსფერებისთვის ფულს მხოლოდ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შემთხვევაში გამოყოფდა. სიომინმა მიზანს მიაღწია და ასათიანი უმალ გადაიყვანა. ამ ეტაპზე კიეველები და მოსკოველები დეკემბრის ბოლომდე შეთანხმდნენ იჯარაზე, ახალი წლის შემდეგ კი კლუბები ფეხბურთელის გამოსყიდვაზე დაილაპარაკებენ. თავად ასათიანი უზომოდ გახარებულია, რადგან ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება კვლავ მიეცემა. 17 სექტემბერს კიეველები პირველ მატჩს ლონდონში "არსენალთან" გამართავენ.

ერთ-ერთი რუსული ვებგვერდი ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს: *"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის "ლოკომოტივის" ქართველი ლეგიონერი მალხაზ ასათიანი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიევის "დინამოში" გადავა. ამჟამად კლუბები ტრანსფერის პირობებს ათანხმებენ. ჯერ კიდევ უცნობია, უკრაინული კლუბი ქართველ ფეხბურთელს სრულად გამოისყიდის თუ იჯარით გადაიყვანს".*

კიევის "დინამომ" რუსეთის სახალხო გუნდი ისე მადლიანად დაამარცხა, რომ უკრაინული მედია ენაკვიმატი სათაურებით აივსო: "გაუპატიურება დინამოურად", "ერთმანეთს ხშირად უნდა შევხვდეთ" (მინიშნებაა რუსების აკვიატებულ იდეაზე, საბჭოური ჩემპიონატის აღდგენისა და ერთმანეთში ხშირი თამაშების აუცილებლობაზე).

შეგახსენებთ, რომ მალხაზ ასათიანს ერთხელ უკვე ჰქონდა კიევის "დინამოში" გადასვლის შანსი - 2002 წელს ქუთაისის "ტორპედოს" პერსპექტიული ნახევარმცველი კიეველებმა გასასინჯად მიიწვიეს, მოეწონათ მისი ტექნიკა, მოედნის ხედვა, მაგრამ ფიზიკურად საკმაოდ სუსტი ფეხბურთელი ათლეტების გუნდში ამ მიზეზით დაიწუნეს. წლების შემდეგ პოპულარული უკრაინული გამოცემა "კომანდა" წერდა, ბოლო ათი წლის განმავლობაში ასათიანის დაწუნება კიევის "დინამოს" ყველაზე დიდი სატრანსფერო შეცდომა გახლდათო. სიომინმა ეს შეცდომა გამოასწორა. სასიხარულოა, რომ რუსეთს გამორჩეული ტალანტი, თუნდაც დროებით, მოშორდა. კიევის "დინამოში" იური სიომინთან მას ნიჭის გამოვლენის მეტი საშუალება ექნება.

მერაბ მამულაშვილი



მალხაზ ასათიანი

# ვიტ ჯორჯია თასზე 2 სექტემბერს ითამაშებს

საქართველოს თასის მერვედფინალური შეხვედრები 30, 31 და 1 სექტემბერს იყო დანიშნული. გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ერთი შეხვედრის თარიღი შეცვალა - ლიგის გენერალური მდივნის **პაატა ბურჯალიანის** ინფორმაციით, "ვიტ ჯორჯია"-"სამტრედიის" შეხვედრა 1-ლის ნაცვლად 2 სექტემბერს გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
ნომრის მორიგე რედაქტორი
შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექტორ რაულ კუპერი

საქართველოს თასი

# სტიმული: კუპერის თვალი





...ყველაფერი ისე გახლდათ დაგეგმილი, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ინტერესები გათვალისწინებულიყო. ანუ, წესითა და რიგით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები დღეს და ხვალ უნდა ჩატარებულიყო, თანაც, საქართველოს თასზე უკვე მეოთხედფინალისტები იქნებოდნენ გამოვლენილნი. სამწუხაროდ, რუსეთის ჯარის საოკუპაციო ქმედებებმა, ყველაფერთან ერთად, ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაშიც იძულებითი კორექტივები შეიტანა. ანუ, ჯერ საქართველოს თასის მერვედფინალების მატჩები გადაიდო (პირველიც და განმეორებითიც), მერე კი ეროვნული ჩემპიონატის დაწყების ვადამაც ნამეტნავად გადაიწია - ყოველ შემთხვევაში, ვერაფრით გაგვიხსენებია, პირველობა სექტემბრის შუა რიცხვებში დაგვეწყო.

თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი წყნარდება და დღეიდან საფეხბურთო სეზონი ისევ განახლდება. თანაც, განახლდება... სანახევროდ დაწყებული და სანახევროდ გაგრძელებული: ერთადერთი, რაც აქამდე მოვასწარით, საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალები იყო. არადა, თასის ამ ადრეულ ეტაპზე რამდენიმე მართლაც მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკვე მეთექვსმეტედფინალშივე გამოეთიშა ასპარეზობას უმაღლესი ლიგის ოთხი გუნდი: „მესხეთი", „მგლები", „ბორჯომი" და „გაგრა". დანარჩენმა ფავორიტებმა ეს ბარიერი უპრობლემოდ დაძლიეს და მერვედფინალში გავიდნენ. აქვე ისიც უნდა შევახსენოთ მკითხველს, რომ თბილისის „დინამო", „ზესტაფონი" და „ვიტ ჯორჯია" მეთექვსმეტედფინალიდან გათავისუფლებული იყვნენ - სამივე ჩვენი გუნდი ზაფხულში ევროტურნირებზე ასპარეზობდა.

ახლა კი მერვედფინალურ წყვილებსაც გავეცნოთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ შეხვედრები დღეს, ხვალ და ზეგ გაიმართება:

| 30 აგვისტო |
|---|
| დინამო-თბილისი |
| ზესტაფონი-ჩიხურა |
| ლოკომოტივი-ქიათურა |
| სპარტაკი-მერანი |

| 31 აგვისტო |
|---|
| ოლიმპი-ბაია |
|ამერი-გურია |
| სიონი-კოლხეთი |
| **1 სექტემბერი** |
| ვიტ ჯორჯია-სამტრედია |

ეს უკანასკნელი წყვილი უფრო გვიან რატომ თამაშობს, ყველასთვის გასაგებია - ვეტერინარებს ორი დღის წინ უეფას თასის მატჩი ჰქონდათ ავსტრიაში. სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთოდ, წყვილში ფავორიტ-აუტსაიდერებზე არ მსჯელობენ; თუმცა, ჩვენს შემთხვევაში რამდენიმე ისეთი წყვილია, სენსაციას არ უნდა ველოდოთ: „დინამომ", „ზესტაფონმა", „ოლიმპმა", „ვიტ ჯორჯიამ", „სიონმა" და „ლოკომოტივმა" უპრობლემოდ უნდა მოიპოვონ მეოთხედფინალის საგზურები. ისე, მაინც გვახარებს ის ფაქტი, რომ ყურადღების ცენტრში კვლავაც მოექცა ორი მდიდარი ტრადიციის მქონე გუნდი - ლანჩხუთის „გურია" და „სამტრედია". ძალიან დიდ ინტერესს იწვევს ზუგდიდის „ბაიას" ასპარეზობაც - ამ გუნდს ხომ ერთობ ამბიციური მიზნები აქვს.

და მთავარიც - თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ერთ-ერთ მერვედფინალურ შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ექტორ რაულ კუპერი** უნდა დაესწროს. ვერაფერს ვიტყვით, მართლაც მშვენიერი „დასაწყისია" - კაცი თბილისში მეორედ ჩამოდის (პირველად - გაცნობითი ხასიათის ვიზიტი იყო) და მაშინვე ქართველი ფეხბურთელების სანახავად მიდის. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთელებისთვისაც ხომ უდიდესი სტიმული იქნება - შესაძლოა, ისეთი კონკრეტული მოთამაშეც მოიწონოს და შეარჩიოს, მანამდე რომ ყურადღებას არ აქცევდნენ. არ დაგვავიწყდეს, რომ **კლაუს ტოპმიოლერის** დრო წავიდა და ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებსაც ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ. აი, ახლაც - ირლანდიისა და იტალიის ნაკრებების წინაალმდეგ დარაზმულ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში თერთმეტი ფეხბურთელია, ვინც საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობს.

**გია ტუხაშვილი**

# კეთილი და მხცოვანი ევროპა




თომით შეყოვნებული საფეხბურთო სეზონი დღეს სათასო მატჩებით განახლდება. ეს ისეთი ომი იყო, ზოგს ვინძლო მცონარობა შეეყარა. მცონარობა ცუდია, თუმც ეს იძულებითი მცონარობა იყო. საფეხბურთო სეზონი ლამის გაზაფხულივით იჭრება ჩვენს ცხოვრებაში, სტადიონზე კაცი კაცს თავისას ეტყვის და ფეხბურთსაც შეხედავს, ბევრ რამეს გულს გადააყოლებს, დადებითი თუ უარყოფითი ემოციებით დაიცლება. მოკლედ, სეზონის დაწყება ერთობ აქტუალური და სასარგებლო იქნება. ომი არ დამთავრებულა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც რუსეთში არ ჩავა 5 სექტემბერს გასამართი ევროშესარჩევის მატჩისთვის. ჩვენი და რუსი ჯეელები მინსკში გააგორებენ ბურთს და ალბათ კარგა მაგარ ძვალთამტვრევასაც გააჩაღებენ. მათი პირველი შეხლა თბილისში 2:0 დასრულდა ჩვენს სასარგებლოდ და თუ ბელარუსშიც იმარჯვეს ჩვენმა ბიჭებმა, ფინალურ ეტაპზე გასვლის თეორიულ შანსს ჩაეჭიდებიან. კარგი თამაში უნდა გამოვიდეს, ჯიგრიანი და ფხიანი, ეროტიკული ისტორიები ახლაც სამასლაათო თემაა იმპერიაგამოვლილი თაობისთვის, ჩვენს თინეიჯერებს კი ეს ამბები ნაკლებად აინტერესებთ - დღეს რუსეთი მტერია და არა პატრონი. ქართველი 21-წლამდელებიც ასეთი მუხტით წავლენ ბელარუსში, ოღონდაც fair play-ის პრინციპები ფეხბურთში ურყევია და ჩვენს ყმაწვილებს ალბათ არც ეს შეეშლებათ.

შემოდგომას საფეხბურთო ბარაქაც მოაქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი იწყება და ექტორ რაულ კუპერის გაწვრთნილი საქართველო საქმეს ირლანდია-იტალიით შეუდგება. მოგზაურობა დიდებული იქნება - გერმანული მაინცი და მერე სტუმრობა უდინეში. გუნდი ორივე მატჩისთვის კეთილ და მხცოვან ევროპაში მოემზადება და ერთიც ვნახოთ, როგორ დაგვის ახალი ცოცხი დანაგვიანებულ ადგილებს საქართველოს ნაკრებში. ბარაქა მოუტანა კვიპროსს თემურ ქეცბაიამ. მისმა „ანორთოსისმა" ჩემპიონთა ლიგაში რომ მიიჩინა ადგილი, დიდად განაპირობა ქეცბაიას, ანუ მწვრთნელის ფაქტორმა. თემური სამაგალითო კაცი გახდა, დიდი ამბავი მოახდინა, ფამაგუსტაში ორმოცი ათასამდე კაცი ცხოვრობს და ასეთი ქალაქის გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

თბილისის „ვიტ ჯორჯია" კი უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ მოხვდა, ვენაში „აუსტრიასთან" 0:2 დამარცხდა. არ უნდა იყოს დიდი ხვითო „აუსტრია" და ვიტელებს პირველ რიგში ალბათ იმან უმტყუნა, რომ ლიდერი არ ჰყავთ, გამოცდილი, კლასიანი წინამძღოლი. ფეხბურთელების თვისებაა, ძალიან მნიშვნელოვანი მატჩისთვის ყოჩი რომ სჭირდებათ. „ვიტ ჯორჯიაში" არაერთი საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ გუნდს ევროსარბიელზე რომ ულიდეროს, ასეთი არავინ ჰყავს. შარშან „დინამომ" ვენის „რაპიდთან" ორი მატჩის ჯამში 0:8 წააგო. „რაპიდი" „აუსტრიაზე" ძლიერი გუნდი უნდა იყოს, თუმც „ვიტ ჯორჯიასთვის" ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ვერც წლევანდელ შემოდგომამდე მიაღწია რომელიმე ქართულმა გუნდმა ევროსარბიელს, 2004 წლის აქეთ ჩვენი კლუბები ამას ვერ ახერხებენ.

„დინამომ" წლევანდელ ევროასპარეზზე ოთხი მატჩი ითამაშა, რვა ტაიმი და ბოლო შვიდ ტაიმში გოლი ვერ შეაგდო. როგორც უნდა იყოს, სტატისტიკა მაინც დამხმარე საშუალებაა და შვიდი უგოლო ტაიმით ვერ ვიმსჯელებთ რაინერ ცობელის გუნდის პერსპექტივაზე. ცობელი თბილისში დაბრუნდა და იმედია, შვებულებამდე აღარ მოუწევს აქედან წასვლა. ის ჩვენი მეგობარი ქვეყნიდანაა, სადაც ირონიის ფასიც იციან და იუმორისაც. როცა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გახდა, ერთმა გერმანულმა გაზეთმა დაწერა - რა კარგია, გერმანიის კანცლერი ქალი რომ არის, იმედია, რუსეთის პრეზიდენტი და ჩვენი კანცლერი საუნაში ერთად

მაჯლაჯუნებმა განრიგი და მშვიდი ცხოვრება ქართულ ფეხბურთსაც დაურღვიეს



მნიშვნელოვანი და საინტერესო. პეტარ შეგრტს არ ჰყავს ურიგო გუნდი, თანაც ახლა ბიჭებს მოტივაციისთვის ალბათ, აღარ დასჭირდებათ მწვრთნელის ჩიჩინი - ეს რუსეთთან თამაშია.

ლუკაშენკოს ბელარუსში ქართველები არ სძულთ, თუ თითქმის ყველა რუსში პატარა პუტინი მაინც ზის, ლუკაშენკოს ქვეყანაში ასე არ უნდა იყოს, ბელარუსი არ არის დერჟავა. იყო დრო, ქართველი ათასობით კილომეტრს გადალახავდა სლავი გოგოებისთვის. ის ნოსტალგიური, აღარ ივლიანო.

ერთი სიტყვით, არც მანამდე იყო მოსაწონი რუსებისთვის კოჭის გორება, ახლა კი საქართველომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და კეთილი, მხცოვანი ევროპაც სულ სხვა შემოდგომას გვპირდება.

„მწუხარე იყო ვით შემოდგომა" - გალაკტიონის ეს სტრიქონი თუ აგეკვიატათ, აღარ ყოფილა ჩვენი საშველი - სექტემბერში ხომ ბევრ სასიკეთო ცვლილებას ველით, მათ შორის საქართველოს ნაკრებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფანცხავა სამი თვე ვერ ითამაშებს

## რუსებს აუცილებლად მოვუგებთ!

ახალგაზრდული ნაკრები რუსეთისა და პოლონეთთან მატჩებისთვის ემზადება. 5 სექტემბერს „ნეიტრალურ" მინსკში რუსეთთან მატჩი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ისევე როგორც სომხეთ-აზერბაიჯანის, პალესტინა-ისრაელისა და ინდოეთ-პაკისტანის დაპირისპირება სცდება სპორტის ჩარჩოებს, ასევე იქნება 5 სექტემბრის მატჩიც.

უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, რითიც ღარიბი ქვეყანა მდიდართან გაამართლა - მიშელ პლატინის "კანტორა" მიხვდა, რომ რუსები საქართველოს ნორმალურად ვერ უმასპინძლებდნენ. დიახ, იყო მატჩის უსაფრთხოების გარანტიები, თუმცა სიტუაცია სტადიონზე იმდენად დაძაბული იქნებოდა, რომ...

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ამჯერად ვერ ითამაშებს საფრანგეთის „ლე მანის" თავდამსხმელი ვახტანგ ფანცხავა, რასაც ძალიან განიცდის. რუსეთთან მოგება ნებისმიერ სფეროში ხომ ღირსების საქმეა...

**- ვახტანგ, როგორც გავიგეთ, რუსეთთან ვერ ითამაშებ.**

- სამწუხაროდ, ასეა. ხუთი დღის წინ თამაშისას ტრავმა მივიღე და ყველანაირი იმედი გადამეწურა.

**- ანუ ძირითად გუნდში წელსაც არ ითამაშობ?**

- პირველი წრე დუბლებში უნდა ჩამეტარებინა და მწვრთნელის გადაწყვეტილებას დაველოდებოდი. ისე, ვარჯიშით კი ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი. თამაში კი არა, საწვრთნელი პროცესიც სანატრელი გამიხდა - ყავარჯნებით დავდივარ. მითხრეს, რომ სამი თვე გამიცდება. ერთი თვე ვარჯიშიც არ შემეძლება და ორი თვე რეაბილიტაციისთვის დამჭირდება. თავიდან მყესების დაჭიმვა მეგონა, შემდეგ ეჭვი მენისკზე მქონდა, მაგრამ ექიმმა მენისკი გამორიცხა. სამწუხაროდ, დეკემბრამდე მოედანს ვერ დავუბრუნდები.

**- არადა, რუსეთთან თამაშს ახლა ყველა ფეხბურთელი ნატრულობს - სულ სხვა თამაში იქნება.**

- მეც მაგის გამო ვდარდობ. რუსეთს სადაც უნდა შევხვდეთ, ვალდებულნი ვართ, მოვუგოთ. თავი უნდა დავდოთ და რაც შეგვიძლია მოედანზე გამოვამჟღავნოთ. რაც რუსეთმა საქართველოში გააკეთა, ის არ უნდა ვაპატიოთ.

**- ალბათ, რუსებიც განსაკუთრებულად მოემზადებიან.**

- ჩვენსავით ვერ მოემზადებიან, რადგან მართალ კაცს, ხალხსა და ქვეყანას ძალა აქვს, რუსებს ეს სიმართლე არ გააჩნიათ. სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, არა მარტო მე, ახალგაზრდული ნაკრების აბსოლუტურად ყველა წევრი ჩემნაირად დამუხტული იქნება. რუსეთს აუცილებლად მოვუგებთ.

**- გეცოდინება, შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გადაიტანეს.**

- ახლა ჩვენი მოსკოვში ჩასვლა არ შეიძლებოდა. ნეიტრალურზე თამაში სწორი გადაწყვეტილება იყო. რუსებთან სულაც მათი ჯარის გარემოცვაში რომ გვეთამაშა, მაინც უნდა მოგვეგო.

**- გეტყობა, ძალიან დამუხტული ხარ.**

- როგორ არ ვიქნები, როდესაც საქართველოს გადაუარეს და გაძარცვეს? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალი დაოჯახებული ვარ, მეუღლე თბილისში იყო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ვიქნებოდი? წყალტუბოში აფხაზეთიდან ლტოლვილ ბიჭებთან ვმეგობრობდი და ვიცი, თავის დროზე რამხელა ტკივილი გადაიტანეს.

**- სანაია სათამაშოდ ჩამოვა?**

- კი, ის დუბლების ძირითადში თამაშობს და ძალიან კარგ ფორმაშია. გული მწყდება, ისეთ კარგ ფორმაში ვიყავი და ახლა დავშავდი. არადა, სამ ტურში ორი ბურთი გავიტანე, ვგრძნობდი, რომ თანდათან უკეთესად ვთამაშობდი.

**- ძირითად გუნდში საკონტროლო შეხვედრაც არ ჩაგიტარებია?**

- ჩვენ საფრანგეთში ვემზადებოდით, ძალიან კი გამიკვირდა, მაგრამ სპარინგები არ გაგვიმართავს. ასეთი მოსამზადებელი ეტაპი არც მახსენდება. სხვათა შორის, ტრავმა რომ მივიღე, იმ დღესაც გავიტანე.

**- ფრანგები რას ფიქრობენ ჩვენთან მომხდარ ამბებზე?**

- ვისაც არ უნდა ესაუბრო, ყველა ჩვენს მხარეს არის. ფრანგებიც და „ლე მანში" მოთამაშე ყველა ფეხბურთელი ერთ აზრზეა - რუსეთი დამნაშავეა საქართველოსთან. დაძაბულ დღეებში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვიყავით. მწვრთნელები, ხელმძღვანელები, მოთამაშეები მოდიოდნენ და ინტერესდებოდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებით. გვეკითხებოდნენ, როგორ დაგეხმაროთო. სამწუხაროდ, ლე მანში მხოლოდ ორი ქართველი ვართ, მე და სანაია, საქართველოს მხარდასაჭერი აქციები ჩვენგან შორს ტარდებოდა და ვერ ჩავედით. უბრალოდ, დროის გამო ვერ მოვახერხეთ, თორემ სურვილი კი გვქონდა. გვინდა ჰუმანიტარული აქციით მაინც დავეხმაროთ ჩვენს ხალხს. მე და ამირანი ჩამოვალთ და გავარკვევთ, რისი გაკეთება შეგვეძლება.

# ფიფია ოლიმპში სამი წლით

## წინამძღვრიშვილი ამერში დარჩა

რუსთავის „ოლიმპი" სეზონის დაწყებამდე მნიშვნელოვნად გაძლიერდა - გუნდმა დაიმატა მეკარე **ზვიად სტურუა**, მცველები - **თემურ ლონლაძე, გიორგი ქეთურიძე, გიორგი ონიანი, ნოდარ მაჭავარიანი, ავქსენტი გილაური, თენგიზ ჩიკვილაძე**, ნახევარმცველები - **გიორგი ფეიქრიშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, დენის დობროვოლსკი, გიორგი დეკანოსიძე**, თავდამსხმელები - **გაგა ჩხეტიანი, კოკა მიკუჩაძე, გია მეგრელაძე.**

გუნდმა ისეთი სერიოზული შევსება მიიღო, რომ ამას უბრალოდ შევსებაც აღარ ჰქვია. წელს რუსთავს შარშანდელისგან აბსოლუტურად განსხვავებული „ოლიმპი" წარმოადგენს. ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ მეკარე **მირზა მერლანი** დარჩა. უწინდელი ლიდერები კი, **ლევან სილაგაძე, დათო ჭიჭვეიშვილი, მიხეილ მახვილაძე, გიორგი კახელიშვილი, გელა ხუბუა**, წავიდნენ. გუშინ „ოლიმპი" საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატმა **დავით დევდარიანმაც** დატოვა (იხილეთ ინტერვიუ ამ ფეხბურთელთან).

რუსთაველებმა შეტევის ხაზი გვარიანად კი გააძლიერეს, მაგრამ ეტყობოდათ, რომ სატრანსფერო მადა ჯერ ამოწურული არ ჰქონდათ. მათ კიდევ ერთი ძლიერი ფორვარდის შეძენა სურდათ. როგორც შევიტყვეთ, „დინამოსთან" საუბრის შემდეგ **სანდრო იაშვილის** დამატება გამორიცხეს. მეორე ვარიანტი **რატი წინამძღვრიშვილი** გახლდათ. „ოლიმპი" თბილისის „ამერს" დაელაპარაკა, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. *„სამწუხაროდ, „ამერის" ხელმძღვანელობამ წინამძღვრიშვილის გამოშვება არ ისურვა„*, - გვითხრა ამასთან დაკავშირებით გუნდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ზურაბ ჯაფარიძემ.**

სამაგიეროდ, რუსთაველებმა სატრანსფერო ფანჯრის ერთ-ერთი ყველაზე მყვირალა შენაძენი სრულყვეს. „ზესტაფონთან" დავით დაღლილი და საბოლოოდ, ამ ბრძოლიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით გამომძვრალი შემტევი ნახევარმცველი **გოგი ფიფია** ამიერიდან „ოლიმპში" ითამაშებს. *„გოგისთან მოლაპარაკება წარმატებით დავასრულეთ. მან ჩვენთან სამწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა„*, - დაგვიდასტურა ჯაფარიძემ.

ასე რომ, წელს რუსთავის „ოლიმპმა" საჩემპიონო შემადგენლობა შეკრიბა. ახლა მთავარია ამ რესურსების გამოყენება.



ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

# უელსში თამაში ძალიან მინდოდა

## კვირკველია ნაკრებში მოდის



დავით კვირკველია

დათო კვირკველიამ უელსთან სათამაშოდ ჩასვლა ვერ შეძლო. ფეხბურთელს ბრიტანეთის ვიზის ასაღებად დრო სჭირდებოდა, რაც არ ჰქონდა – ასე აგვიხსნა ყაზანის „რუბინის" ერთ-ერთმა ლიდერმა საქართველოს ნაკრებში გამოუცხადებლობის მიზეზი.

**კარს მოგვადგა ირლანდიასა და იტალიასთან ჩასატარებელი შეხვედრები. მოგეხსენებათ, ირლანდიას მაინცში ვეთამაშებით და იტალიას – უდინეში. კითხვა ბუნებრივად ჩნდება: რუსეთში მოთამაშე ქართველები ამჯერად მაინც თუ მოახერხებენ ჩამოსვლას. მოგეხსენებათ, რუსეთში ქართველებისადმი "განსაკუთრებული დამოკიდებულების" გამო ჩვენებურების ყოფა გართულდა. დათოს გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- შესარჩევი ციკლის თამაშებისთვის ჩამოსვლას ახლა თუ მოახერხებ?**

- დიახ, აუცილებლად. უელსთან უთამაშებლობის გამო გული მაგრად დამწყდა. არადა, ნაკრებში აუცილებლად უნდა წავსულიყავით მე და სალუქვაძე... ვერ მოვახერხეთ.

**- ვიზის აღება დიდი პრობლემა იყო?**

- ბრიტანეთის ვიზის ასაღებად მინიმუმ ორი დღეა საჭირო. მოსკოვში ამდენი ხანი ვერ გავჩერდებოდი, რადგან უნდა მევარჯიშა. თანაც, ხსენებულ დროში ვიზის მიღების გარანტია არ მქონდა. დათო მუჯირმა მითხრა, რომ ამისთვის სამი დღე დასჭირდა. პასპორტი საკონსულოში უნდა დამეტოვებინა და მოსკოვში დავრჩენილიყავი. მოსკოვში კი 48 საათი უპასპორტოდ გაჩერება ძალიან სახიფათოა. ვინც რა უნდა დამაბრალოს, ნაკრებში თამაში რომ მინდოდა, ჩემზე უკეთესად არავინ იცის. ჩვენ აქ განსაკუთრებულად განვიცდით საქართველოს ამბებს. რუსეთში რომ ვცხოვრობ, შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ მშვიდად ვარ და ომი არ მაწუხებს... ასე ნამდვილად არ არის. როცა ჩემიანებს უჭირთ, კარგად ვერ ვიქნები. თანაც, ლანჩხუთი და ფოთი ლამის გადაბმულია და რაც იქ ხდება, ძალიან მადარდებს. იმედია, ყველაფერი მალე და საჩვენოდ დასრულდება.

**- თათარსტანი რუსეთის ერთ-ერთი ავტონომიაა. მანდ როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველების მიმართ?**

- ქართველებისადმი აგრესია აქ ნაღდად არ იგრძნობა.

**- ყაზანის „რუბინის" ჩემპიონობა რეალური გგონია?**

- რა გითხრათ, აბა? ჯერ პირველ ადგილზე ვართ. რა მოხდება დარჩენილ ტურებში, ამის თქმა ძნელია.

**- რუსეთში პროვინციის ჩემპიონობა ყოველთვის დიდ სირთულეს უკავშირდებოდა. გზიდან ჩამოსაშორებლად სარმებს არ გიდებენ?**

- სარმები რომ დაედოთ, პირველ ადგილზე დღეს ვერ ვიქნებოდით.

**- მოსკოვის „დინამოს" ჩემპიონობას ხელს არ უწყობენ?**

- არა მგონია, ასე იყოს. ყოველი ტურის შემდეგ ამბობენ, ყაზანის „რუბინს" უმართლებსო. გამართლება მესმის ერთხელ, ორჯერ, ჰა-ჰა, მთელი წრე, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე თერთმეტი ტურია დარჩენილი და შეუძლებელია, ამხელა მონაკვეთი სულ ბედი გიღიმოდეს. „რუბინი" პირველ ადგილზე დამსახურებულადაა. დარჩენილ ტურებში დიდი სიფრთხილე გვმართებს. ახლა აუტსაიდერებთან შეხვედრები უფრო რთულია, რადგან მათ ლიგაში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა და ქულები ჰაერივით დასჭირდებათ.

**- საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვა კიევის „დინამოსთან" მოსკოვის „სპარტაკის" კატასტროფულ მარცხს?**

- წაგება არავის სიამოვნებს, თანაც, ასეთ პრინციპულ მატჩში. ეს იგივეა, რაც „რეალი"-"ბარსელონის" დაპირისპირება. უკრაინაში ჩვენზე არანაკლებ მძაფრად აღიქვამენ ასეთ დაპირისპირებებს. ისე, კიეველებმა დამაჯერეს, მაგრად ითამაშეს და მოიგეს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ნაკრები

# ჰექტორ კუპერი ასისტენტებიანად ჩამოვიდა

## ნაკრები მაინცში მოემზადება




გუშინ გამთენიისას საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჰექტორ რაულ კუპერი** თბილისში ჩამოვიდა. არგენტინელ მწვრთნელს თანაშემწეები, ასისტენტი **ხოსე ფანტაგუცი** და ფიზიკური მომზადების სპეციალისტი **ანხელ პეუბლა** ჩამოჰყვნენ. სტუმრები ნაშუადღევს ფედერაციას ეწვივნენ და ქართული ფეხბურთის თავკაცებთან კარგა ხნის განმავლობაში ითათბირეს. როგორც გავიგეთ, კუპერმა გუშინვე თბილისში ბინები შეათვალიერა. ის ერთ-ორ ვარიანტს დღესაც ნახავს და საბოლოო არჩევანსაც მერე გააკეთებს.

მოგეხსენებათ, დღეს და ხვალ საქართველოს დავით ყიფიანის თასის „ყაზბეგის" გათამაშების მერვედფინალური მატჩებია, რომელსაც კუპერიც დაესწრება. ჩვენი ინფორმაციით, ნაკრების არგენტინელი თავკაცი ვაკეში „ლოკომოტივი"-"მაღაროელის" მატჩს დაესწრება. მისი ასისტენტი ხოსე ფანტაგუცი კი „დინამოსა" და „თბილისს" შორის სათასო შეხვედრას ნახავს.

ხვალ, 31 აგვისტოს, გამთენიისას საქართველოს ნაკრები გერმანიაში გაემგზავრება. ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძის** თქმით, ეროვნული ნაკრები მაინცში, ერთ-ერთ სპორტკომპლექსში დაბინავდება და ირლანდიასთან მატჩისთვის იქ შეუდგება მზადებას.

დაბოლოს, დღეს, 15 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში ჰექტორ კუპერი პრესკონფერენცია გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

# გოგობერიშვილი ყარაბახში გადადის




ალექსანდრე გოგობერიშვილი (№14)

აზერბაიჯანული „აზერისპორტი" ირწმუნება, რომ უახლოეს დღეებში „ბაქოს" ერთ-ერთი ქართველი ლეგიონერი დატოვებს. 31 წლის ნახევარმცველი **ალექსანდრე გოგობერიშვილი** დედაქალაქიდან აგდამში გადავა და ამიერიდან „ყარაბახის" ღირსებას დაიცავს. გოგობერიშვილი ოთხი წლის წინათ გადავიდა თბილისის „ლოკომოტივიდან" აზერბაიჯანში. ის წლების განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ლეგიონერად ითვლებოდა ამ ქვეყანაში. შეგახსენებთ, რომ „ბაქოში" კიდევ ერთი ჩვენებურია – **ამირან მუჯირი**.

ამასობაში **გიორგი ადამიასა** და **გიორგი ჭელიძეს** ახალი თავკაცი ჰყავთ, უკრაინელი **ანატოლი დემიანენკო** გერმანელმა **ჰანს-იურგენ გედემ** შეცვალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 21. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. მე[illegible]

# საქართველოსთან მხოლოდ ორი ფორვარდით

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ბორის სტუკალოვმა** საქართველოსთან 5 და ესპანეთთან 9 სექტემბრის მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. სტუკალოვის სიაში სულ 21 ფეხბურთელია. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, რუსეთის 21-წლამდელთა თავკაცმა მხოლოდ ორი თავდამსხმელი გამოიძახა. არადა, რუსების მწვრთნელმა ამ სამიოდე დღის წინათ პრესასთან საუბარში განაცხადა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის დარჩენილი ორი მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთო. ერთი სიტყვით, სტუკალოვი დარჩენილი ორი შეხვედრის მოგებას ამ შემადგენლობით შეეცდება:

მეკარეები: **სოსლან ჯანაევი (სპარტაკი მ.), ანტონ შუნინი (დინამო).**

მცველები: **ვლადიმირ გრანატი (დინამო), ფიოდორ კუდრიაშოვი (ხიმკი), ანდრეი ლუკანჩენკოვი (ურალი), იური ლებედევი (ნოსტა), კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), დმიტრი იატჩენკო (სპარტაკი ნ.).**

ნახევარმცველები: **მიხაილ ბაკაევი (ალანია), დენის გლუშაკოვი (ლოკომოტივი), ალან ძაგოევი (ცსკა), ალან კასაევი (ყუბანი), დმიტრი კომბაროვი, კირილ კომბაროვი (ორივე დინამო), ალექსანდრ რიაზანცევი (რუბინი), ოლეგ სამსონოვი (სპარტაკი ნ.), ივან ტარანოვი (კრილია), ვიქტორ ფაიზულინი (ზენიტი), რომან შიშკინი (სპარტაკი მ.).**

თავდამსხმელები: **არტემ ძიუბა, ალექსანდრ პრუდნიკოვი (ორივე სპარტაკი მ.)**

აღსანიშნავია ისიც, რომ ბორის სტუკალოვი 1 სექტემბერს ბორში შეკრებს გუნდს და საქართველოსთან მატჩისთვის მზადებას შეუდგება. 4 სექტემბერს რუსები მინსკი ჩაფრინდებიან და მზადებას იქ გააგრძელებენ.




**დავით ცაბაძე**

# მოსკოვმა უეფა გააკრიტიკა



ანდრეი მალოსოლოვი

როგორ ადრე გაუწყეთ, რუსეთისა და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებებს შორის შესარჩევი ციკლის მატჩის ჩატარება უეფამ ნეიტრალურ სტადიონზე გადაწყვიტა. რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ნეიტრალური მოედანიც შეარჩია - მინსკში „ტრაქტორის" სტადიონი". გუშინ უეფას უნდა გადაეწყვიტა ამ არენაზე ჩატარდებოდა ეს მატჩი, თუ სხვა სტადიონი იქნებოდა მოსაძებნი. გუშინ უეფამ რუსებს მატცის „ტრაქტორზე" გამართვის ნება დართო.

*„ჩვენთვის უეფას ნებისმიერი გადაწყვეტილება საბოლოოა და ვალდებულები ვართ, შევასრულოთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას ვეთანხმებით. უბრალოდ, სხვა გზა აღარ გვრჩება. ჩვენ არ შეგვიცვლია პოზიცია - რუსეთ-საქართველოს მატჩის მოსკოვში არჩატარების საფუძველი არ არსებობდა. მოსკოვში არც საომარი ვითარება იყო და არც საგანგებო მდგომარეობა.*

*ვიცით, რომ ქართულმა მხარემ 5 სექტემბრის თამაშის ნეიტრალურ სტადიონზე გადატანის თხოვნაზე უეფასგან თავდაპირველად უარი მიიღო. არ ვიცით, რა მოხდა მერე და რატომ შეიცვალა გადაწყვეტილება.*

*უეფა ყოველთვის აცხადებს, რომ პოლიტიკას ემიჯნება და გადაწყვეტილებებშიც ერთი პრინციპით ხელმძღვანელობს - სპორტი პოლიტიკის გარეშე. თუმცა უეფას გადაწყვეტილება აბსოლუტურად პოლიტიკურია"*, - აღნიშნა მასმედიასთან საუბარში რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესატაშე **ანდრეი მალოსოლოვმა**.

ორიოდე სიტყვა სტადიონ „ტრაქტორზეც" ვთქვათ: „ტრაქტორი" **გია კვარაცხელიას** კლუბ „მტზ რიპოს" მშობლიური არენაა. ამ კლუბის მეპატრონე კი ცნობილი ლიტველი ოლიგარქი **ვლადიმირ რომანოვი** გახლავთ. სტადიონი „ტრაქტორი" 17 600 მაყურებელს იტევს. ბელარუს მიმომხილველებს თუ ვენდობით, მოედანი ამჟამად იდეალურ მდგომარეობაშია.

**დავით ცაბაძე**

სამზადისი

# ახალციხელები ვარჯიშებს დღეს განაახლებენ

## ომმა მესხეთიც შეაფერხა

საომარი მოქმედებები შეწყდა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალიც ამუშავდა, ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში დგება. იძულებითი პაუზის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატი თასის მერვედფინალის პირველი მატჩებით დღეს განახლდება, 13 სექტემბერს კი მეოცე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება.

ქართულმა გუნდებმა ვარჯიშები განაახლეს. ერთ-ერთი ვინც მზადებას მოგვიანებით განაგრძობს, „მესხეთია".

*„საომარი მოქმედებებისა და საავტომობილო მაგისტრალის ჩაკეტვის გამო ერთგვარად იზოლაციაშიც კი ვიყავით. ის კი არა და, ამ ომმა ჩვენი ფეხბურთელებიც დააზარალა. ჩვენს კლუბში გორში მცხოვრები სამი მოთამაშეა. საბედნიეროდ, გადავრჩით, მათი სახლები არ დანგრეულა, მაგრამ დაზიანებას ვერ ასცდა. საბრძოლო მოქმედებებისას ჩვენი კლუბის გორელმა ფეხბურთელებმა მიხეილ თაყაძემ, გურამ სამადაშვილმა და კობა ხანიშვილმა ოჯახის წევრები გახიზნეს. ისინი მოხალისეებშიც კი ჩაეწერნენ. არა მარტო ისინი, მთელი ჩვენი კლუბი მზად იყო სამშობლოს დასაცავად. ერთი სიტყვით, ომმა ჩვენც გვარიანად შეგვაფერხა, მაგრამ მშვიდობას იყოს და, ამას ვინ ჩივის...*

*რაც შეეხება მზადებას, ვარჯიშებს ხვალ განვაახლებთ. ბორჯომში გავაგრძელებთ მზადებას. „მესხეთი" თასზე აღარ ასპარეზობს და ჩემპიონატის დაწყებამდე ორ ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. ერთი საკონტროლო შეხვედრა „ბორჯომთან" გვექნება, მეორეს კი ამ დღეებში შევათანხმებთ.*

*თურქი ინვესტორის ინტერესი კვლავაც არსებობს. არსებული ვითარების მიხედვით, შეთანხმება ზამთრიდან ძალაში უნდა შევიდეს"*; - გვითხრა „მესხეთის" პრეზიდენტმა **გია მესხელმა**.



გია მესხელი და კობა თედიაშვილი

**დავით ცაბაძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. III ტურის წინ

# სანამ მანჩესტერს არ სცალია

## სკოლარის პირველი ლონდონური დერბი



ლუიშ ფელიპე სკოლარი და მისი შტაბი პირველი ლონდონური დერბისათვის ემზადებიან

**დღეს**

ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი-პორტსმუთი
ჰალი-ვიგანი
მიდლსბრო-სტოკი
ვესტ ჰემი-ბლექბერნი
არსენალი-ნიუკასლი

**ხვალ**

ჩელსი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა-ლივერპული
მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი გადაიდო

"ზენიტთან" თამაშის გამო (ევროპის სუპერთასზე), "მანჩესტერ იუნაიტედი" „ფულჰემს" მოგვიანებით შეხვდება. პრემიერლიგის მესამე ტურის უმთავრესი მატჩები ლონდონში გაიმართება. "არსენალი" "ნიუკასლის" უმასპინძლებს, ხოლო "ჩელსი" "ტოტენჰემს" დაუხვდება.

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** პირველი ლონდონური დერბისათვის ემზადება. "არისტოკრატებმა" ორიდან ორივე მატჩი მოიგეს და ერთი გოლიც არ გაუშვიათ. "ტოტენჰემმა" ორივე შეხვედრა წააგო და ცხრილის ბოლოში იმყოფება. კვლავ გაურკვეველია **დიმიტარ ბერბატოვის** მდგომარეობა. სკოლარი მიიჩნევს, რომ ამ წყვილში მისი გუნდი ფავორიტი არ არის და რომ უძლიესი მოედანზე გამოჩნდება.

პირველ ტურში "ჩელსიმ" "პორტსმუთი" გაანადგურა (4:0), მეორე ტურში მინიმალური ანგარიშით მოუგო "ვიგანს". "არისტოკრატებმა" „მილანში" გაუშვეს **ანდრეი შევჩენკო, რობინიოს** ტრანსფერი ჯერ არ დაუსრულებიათ, ხოლო **დიდიე დროგბა** დაშავებული ჰყავთ. სკოლარი შესუსტებულ თავდასხმას გამოიყვანს, მაგრამ მაინც სამი ქულის მოპოვებას შეეცდება.

გამარჯვების შემთხვევაში, "ჩელსის" ცხრა ქულა დაუგროვდება. სამ ტურში ცხრა ქულა ლონდონელებმა ბოლო ოთხ წელიწადში ორჯერ მოიხვეჭეს. 2008 წელს "არისტოკრატებმა" პრემიერლიგაში 20 მატჩი ჩაატარეს და ერთხელაც არ დამარცხებულან (15 მოგება, 5 ფრე). სკოლარი წაუგებელი სერიის შეწყვეტას არ აპირებს.

"ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგაში გააღწია. ლიეჟის "სტანდარდის" დასამარცხებლად მას დამატებითი დროის 28 წუთი დასჭირდა. მერსისაიდელებმაც ორიდან ორი მატჩი მოიგეს, მაგრამ თამაშის ხარისხით არავინ გაუკვირვებიათ. ხვალ საღამოს ისინი "ასტონ ვილას" ესტუმრებიან. "ლივერპულს" **სტივ ჯერარდი** ვერ დაეხმარება. ნახევარმცველი დაშავებულია და საზარდულის ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

მერსისაიდელებს პრემიერლიგის სტარტზე ზედიზედ სამი მატჩი 1994 წლის შემდეგ არ მოუგიათ. "ლივერპული" ინგლისის პირველობაზე ცხრამატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს თავს (შვიდი მოგება, ორი ფრე). ის უკანასკნელად 23 მარტს, "მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდა. რაფა ბენიტესის შეგირდებს "ვილასთან" საუცხოო სტატისტიკა აქვთ. ბირმინგემელებს "ლივერპული" 15 მატჩია, არ დაუმარცხებიათ (5 ფრე, 10 წაგება). მათი უკანასკნელი წარმატება 2005 წლის თებერვლით თარიღდება.

"არსენალი" "ფულჰემთან" წაგების გამო რეაბილიტაციას გეგმავს. "მეთოფეებმა" ნაწილობრივი რეაბილიტაცია უკვე მოახერხეს. მათ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს "ტვენტეს" და ჩემპიონთა ლიგაში გავიდნენ. "არსენალის" მეტოქე "ნიუკასლია". გამარჯვების შემთხვევაში, ჯორდები შვიდ ქულას დააგროვებენ. სამ ტურში შვიდი ქულა მათ უკანასკნელად 1995 წელს ჰქონდათ.

იანვარში ეს გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - ჯერ ასოციაციის თასზე, მერე პრემიერლიგაში. "არსენალმა" ორივე მატჩი 3:0 მოიგო. "ნიუკასლს" "არსენალის" სტადიონზე 2001 წლის დეკემბრის შემდეგ არ მოუგია. ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ დამარცხდა და მხოლოდ ერთი თამაში დაასრულა ფრედ.

"ბლექბერნი" "ვესტ ჰემს" ესტუმრება. "ვარდების" თავკაცი **პოლ ინსი** ლონდონელია. მისი პირველი კლუბი "ვესტ ჰემი" იყო. ბავშვობაში პოლი "ჩაქუჩებს" გულშემატკივრობდა. გამარჯვების შემთხვევაში "ბლექბერნი", მინიმუმ ერთი დღით, პირველ ადგილზე მოკალათდება. "ჩელსი" და "ლივერპული" თავიანთ მატჩებს კვირას გამართავენ. "ვესტ ჰემს" ორი წამყვანი ნახევარმცველი, **ლუკას ნილი** (კაპიტანი) და **ვალონ ბეჰრამი** უბრუნდება. გამოჯანმრთელდა **ჯორჯ მაკარტნი**. ტრავმა მოიშუშა **კრეიგ ბელამიმ**. უელსელი თავდამსხმელი განაცხადში იქნება.

"პორტსმუთი" "ევერტონს" ეთამაშება. ჰარი რედნაპს იმედი აქვს, რომ **ჯერმეინ დეფო** მწყობრში ჩადგება და ითამაშებს. "პორტსმუთის" საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება. დაშავებულია ორი თავდამსხმელი - **ნვანკვო კანუ** და **დევიდ ნაჯენტი**. ისინი ლივერპულში ვერ ითამაშებენ.

რედნაპის გუნდი კრიზისშია. კრიზისი გასული სეზონიდან იღებს სათავეს. "პორტსმუთმა" ზედიზედ ექვსი მატჩი წააგო (ოთხი გასული სეზონის მიწურულს და ორიც ახალ სეზონში). აქედან ხუთ შეხვედრაში მას გოლიც კი არ გაუტანია.

"სანდერლენდისა" და "მანჩესტერ სიტის" მატჩი ყოფილი თანაგუნდელების დაპირისპირება იქნება. **როი კინი** და **მარკ ჰიუზი** "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავები არიან. ჰიუზი "სიტიში" სადებიუტო სეზონს ატარებს. კინმა კი "სანდერლენდის" დამრიგებლის რანგში მესამე სეზონი დაიწყო. გამარჯვების შემთხვევაში, მისი შეგირდები ექვს ქულას დააგროვებენ. სამ ტურში ექვსი ქულა პრემიერლიგაში "სანდერლენდის" საუკეთესო სტარტი იქნება. "ჩელსიდან" დაბრუნებულ **შონ რაიტ-ფილიპსს** "მანჩესტერ სიტის" განაცხადში ვიხილავთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. ბლექბერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 4. ჰალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. მანჩესტერ იუნ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ასტონ ვილა | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 9. ბოლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 10. ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11. მიდლსბრო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 12. ფულჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 13. სანდერლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 14. არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 15. სტოკ სიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 16. ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 17. ტოტენჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 18. ვესტ ბრომვ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19. ვიგანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 20. პორტსმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის სუპერთასი

# ზენიტი ევროპას თავზე წამოაჯდა

**მანჩესტერ იუნ.-ზენიტი 1:2**

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გარი ნევილი (76. ბრაუნი), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი (60. იში), ანდერსონი (60. პარკი), სქოულზი, ნანი, რუნი, ტევესი.

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი (70. რადიმოვი), ანიუკოვი, პუიგრენიე (62. შიროკოვი), შირლი, ზირიანოვი, დანი, დენისოვი, ტიმოშჩუკი, პოგრებნიაკი, დომინგესი (46. არშავინი).

**გოლები:** 0:1 პოგრებნიაკი (44), 0:2 დანი (59), 1:2 ვიდიჩი (73).

**გაძევება:** სქოულზი (90. მანჩესტერ იუნაიტედი)

**მაყურებელი:** 20 000

"მანჩესტერ იუნაიტედმა" სეზონი უფერულად დაიწყო. მან ვერ მოუგო "ნიუკასლს" (1:1) და ძლივს დაამარცხა "პორტსმუთი" (1:0). გუშინ კი "ეშმაკებმა" სეზონის პირველი მარცხი იწვნიეს. ევროპის სუპერთასი პეტერბურგის "ზენიტმა" წაიღო.

ტრავმების, დისკვალიფიკაციებისა და ოლიმპიადის გამო აგვისტოში, "იუნაიტედი" საკადრო პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. "ზენიტთან" მატჩში ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა **გარი ნევილი**. ითამაშა **ნანიმ**, რომელიც "პორტსმუთთან" შეხვედრისას დასჯილი იყო, აგრეთვე პეკინიდან დაბრუნებულმა **ანდერსონმა**.

**სერ ალექსს ოუენ ჰარგრივსი** არ გამოუყვანია. განაცხადში საერთოდ არ ყოფილან **მაიკლ ქერიკი, კრისტიანო რონალდო** და **რაიან გიგზი**. ამ უკანასკნელს მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი.

**დიკ ადვოკაატმა** ძირითადში დააყენა პორტუგალიელი ნახევარმცველი **დანი**. "ზენიტმა" ეს ბიჭი სულ ახლახან შეიძინა. მოსკოვის "დინამომ" კომპენსაციის სახით, რუსეთის ჩემპიონატისათვის სარეკორდო თანხა, 30 მილიონი ევრო მიიღო. „იუნაიტედს" მეორე გოლი სწორედ ამ ფეხბურთელმა გაუტანა.

მეორე ტაიმში მინდორზე გამოვიდა **ანდრეი არშავინი**. რუსეთის ნაკრების თავდამსხმელს "ტოტენჰემში" გადასვლა სურდა. ლონდონელები "ზენიტს" აღარ დაკავშირებიან. ადვოკაატმა არშავინი მონაკოში წაიყვანა და ათამაშა კიდეც. არადა, მოსალოდნელი ტრანსფერის გამო ფეხბურთელმა "კრილია სოვეტოვთან" ბოლო ტურის მატჩი გამოტოვა.

ორიოდე სიტყვა მატჩის შესახებ: ანგარიში 44-ე წუთზე გაიხსნა. გოლი კუთხურის გათამაშებას მოჰყვა. **დომინგესის** ჩაწოდებულ ბურთს **დენისოვი** შესწვდა. მან კართან ახლოს **პოგრებნიაკი** მოძებნა და 1:0. 59-ე წუთზე დებიუტანტმა დანიმ სოლო რეიდი მოაწყო, "იუნაიტედის" ორ მცველს გასცდა, **ვან დერ სარი** მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

73-ე წუთზე **ნემანია ვიდიჩმა** ერთი ბურთი გაქვითა. მისი დარტყმისას ბურთმა სამ რუს მცველს ჩაუფრინა და კარში მოკალათდა. დარჩენილ დროში "მანჩესტერი" მეტოქეს ვერაფერს გამორჩა. ბოლო წუთზე **პოლ სქოულზმა** ხელით გაიტანა. გოლი, რა თქმა უნდა, არ ჩაუთვალეს. ფეხბურთელს წითელი ბარათი აუფრიალეს და ნაადრევად დაითხოვეს მინდვრიდან. "ზენიტმა" საკლუბო მუზეუმს პირველი უეფას თასის შემდეგ ევროპული სუპერთასი შემატა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

**უეფას თასი. პირველი ეტაპი. კენჭისყრა**

მილანი (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია)
ტიმისოარა (რუმინეთი)-პარტიზანი (სერბეთი)
ჰერტა (გერმანია)-სენტ პატრიკსი (ირლანდია)
ბანიკი (ჩეხეთი)-სპარტაკი (რუსეთი)
მეტალისტი (უკრაინა)-ბეშიქთაში (თურქეთი)
პორტსმუთი (ინგლისი)-გიმარაეში (პორტუგალია)
ქაისერისფორი (თურქეთი)-პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)
სევილია (ესპანეთი)-ზალცბურგი (ავსტრია)
ვოლფსბურგი (გერმანია)-რაპიდი (რუმინეთი)
სამპდორია (იტალია)-კაუნასი (ლიტვა)
მარიტიმუ (პორტუგალია)-ვალენსია (ესპანეთი)
დინამო (ხორვატია)-სპარტა (ჩეხეთი)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი)-ომონია (კვიპროსი)
იანგ ბოისი (შვეიცარია)-ბრიუგე (ბელგია)
ნანსი (საფრანგეთი)-მოზერველი (შოტლანდია)
ევერტონი (ინგლისი)-სტანდარდი (ბელგია)
ნაპოლი (იტალია)-ბენფიკა (პორტუგალია)
ბელინცონა (შვეიცარია)-გალათასარაი (თურქეთი)
ნიიმეგენი (ჰოლანდია)-დინამო (რუმინეთი)
რასინგი (ესპანეთი)-ჰონკა (ფინეთი)
აპოელი (კვიპროსი)-შალკე (გერმანია)
ლიტექსი (ბულგარეთი)-ასტონ ვილა (ინგლისი)
აუსტრია (ავსტრია)-ლეხი (პოლონეთი)
სეტუბალი (პორტუგალია)-ჰერენვეენი (ჰოლანდია)
ბრანი (ნორვეგია)-დეპორტივო (ესპანეთი)
სლავია (ჩეხეთი)-ვასლუი (რუმინეთი)
სლავენი (ხორვატია)-ცსკა (რუსეთი)
ბრონდბიუ (დანია)-რუსენბორგი (ნორვეგია)
ჩერნო მორე (ბულგარეთი)-შტუტგარტი (გერმანია)
რენი (საფრანგეთი)-ტვენტე (ჰოლანდია)
აიაქსი (ჰოლანდია)-ბორაცი (სერბეთი)
ტოტენჰემი (ინგლისი)-ვისლა (პოლონეთი)
კოპენჰაგენი (დანია)-მოსკვა (რუსეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი)-ლევსკი (ბულგარეთი)
დორტმუნდი (გერმანია)-უდინეზე (იტალია)
ბრაგა (პორტუგალია)-არტმედია (სლოვაკეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია)-კალმარი (შვედეთი)
ჰამბურგი (გერმანია)-უნირეა (რუმინეთი)
ჰაპოელი (თელ-ავივი ისრაელი)-სენტ ეტიენი (საფრანგეთი)
ნორდსიელანდი (დანია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

*მატჩები 18 სექტემბერს და 2 ოქტომბერს გაიმართება*

დიდი გარიგების მოლოდინში

# რობინიოს ტრანსფერი ჩაიშალა

## გუშინ ბრაზილიელი თავდამსხმელი ისევ მადრიდში ვარჯიშობდა

ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალმა" "ჩელსის" შეთავაზება დაიწუნა. **რობინიოს** ლონდონში ტრანსფერი ჩაშლის პირასაა. გაზეთი "ასი" მადრიდელთა პრეზიდენტის, **რამონ კალდერონის** განცხადებას აქვეყნებს: *"ბრაზილიელი თავდამსხმელი "ბერნაბეუზე" დარჩება."*

რობინიოს ინგლისში გამგზავრება სურდა. მისი აგენტი "ჩელსის" ბოსებს შეხვდა. "არისტოკრატებმა" ფეხბურთელს უკეთესი პირობები შესთავაზეს, მაგრამ კლუბების შეთანხმება არ მოხერხდა. "რეალმა" ბრაზილიელი 26 მილიონ გირვანქად არ გაყიდა. მადრიდელი დირექტორების აზრით, რობინიომ გულშემატკივრებს ბოდიში უნდა მოუხადოს იმის გამო, რომ ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა.

ლონდონში ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი "ჩელსიში" ითამაშებდა. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე რობინიოს მაისურაც კი გამოიტანეს გასაყიდად, თუმცა ის გასაყიდი ატრიბუტიკის სიიდან ერთ საათში გაქრა. გუშინ დილას რობინიო "რეალის" საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადდა და თანაგუნდელებთან ერთად ივარჯიშა. არადა, ესპანური ტაბლოიდები წერდნენ, პარასკევს ფეხბურთელი ინგლისში მიფრინავს, რათა კონტრაქტის დეტალები განიხილოსო.

ჩაიშალა თუ არა რობინიოს ტრანსფერი? ინგლისელი მიმომხილველები კატეგორიული განცხადებებისაგან თავს იკავებენ. მათი აზრით, მომდევნო ორ დღეში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუ "ჩელსი" თანხას გაზრდის, "რეალი" გარკვეულ შეღავათს გაუკეთებს. "არისტოკრატების" თავკაც **ლუიშ ფელიპე სკოლარის** რობინიოს შეძენა ძალიან უნდა, თუმცა ტრანსფერის ჩაშლის გამო ტრაგედიას არ შექმნის.



გერმანია. ბუნდესლიგა III ტური

# ჰოფენჰაიმის პირველი სერიოზული გამოცდა

## ლევერკუზენი არც კოტბუსია და არც გლადბახი...

| გუშინ | |
|---|---|
| კარლსრუე-კიოლნი | 0:2 |
| **დღეს** | |
| კოტბუსი-ბორუსია (დ) | |
| ბორუსია (მ)-ვერდერი | |
| შალკე-ბოხუმი | |
| არმინია-ჰამბურგი | |
| ვოლფსბურგი-აინტრახტი | |
| ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | |
| **ხვალ** | |
| შტუტგარტი-ჰანოვერი | |
| ბაიერნი-ჰერტა | |

პირველ ორ ტურში „ჰოფენჰაიმმა" იმდენად სოლიდური შთაბეჭდილება დატოვა, რომ თამამად შეიძლება ითქვას: „ლევერკუზენი" **რალფ რანგნიკის** გუნდს უფრთხის. ჰო, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მესამე ტურის ცენტრალური მატჩი „ბაიერისა" და „ჰოფენჰაიმის" დაპირისპირებაა. თუკი „ფარმაცევტები" საქმეს დღესაც ისე სერიოზულად მიუდგებიან, როგორც ერთი კვირის წინ „შტუტგარტთან" მიუდგნენ (2:0 **ლაბადიას** გუნდის სასარგებლოდ), მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ „ჰოფენჰაიმს", რომელმაც მთელი ევროპა აალაპარაკა, პირველი სერიოზული გამოცდა ელის. „კოტბუსთან" და „გლადბახთან" მოპოვებული გამარჯვებები კარგი იყო, მაგრამ „ლევერკუზენი" სხვა კალიბრია.

*„ამ მატჩისთვის განსაკუთრებული მოტივაციით ვემზადებით. მითი „ჰოფენჰაიმის" შესახებ სწორედ ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ,"* – ეს „ლევერკუზენის" ფორვარდ **შტეფან კისლინგის** სიტყვებია. მან ისიც კარგად იცის, რომ რანგნიკის გუნდი ერთადერთია ორი ტურის შემდეგ, რომელსაც არც ერთი გოლი არ აქვს გაშვებული. ლაბადიას **კასტრო** (ტრავმა) აკლია, რანგნიკს კი არანაირი მიზეზი არ აქვს საიმისოდ, რომ ძირითადი შემადგენლობა შეცვალოს.

„შალკეში" მონასტერი არეულია. „ატლეტიკოსთან" განადგურებამ და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნამ გელზენკირხენულ კლუბში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შესაბამისად, საკითხავია, როგორი განწყობით ითამაშებენ შალკელები დღეს „ბოხუმთან", რურის მცირე დერბიში. „შალკეს" მთელი აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე ჰქონდა გადატანილი და ახლა მთავარ მწვრთნელ **ფრედ რუტენზეა** დამოკიდებული, მოახერხებენ თუ არა „ხუმარები" მადრიდში განცდილი კრახის დროულად დავიწყებას. ფაქტი ის გახლავთ, რომ „შალკემ" საკუთარ „ფელტინს არენაზე" „ბოხუმს" ბოლოს ზედიზედ ორჯერ მოუგო.

**ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგს" ორი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს და ჯერჯერობით „კარგად მიდის". „მგლები" ამჯერად ფრანკფურტის „აინტრახტს" მასპინძლობენ და რაც მაგათისთვის ყველაზე სასიხარულო ამბავია, ბრაზილიელ თავდამსხმელ **გრაფიტეს** დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და დღეს აუცილებლად ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „დესპოტ ფელიქსს" ნახევარმცველ **აშკან დეჟაგას** იძულებით თავდასხმაში გამწესება აღარ მოუწევს.

„შალკესა" და „ვოლფსბურგის" გარდა, ჰოფენჰაიმის წაბორძიკების შემთხვევაში, პირველ ადგილზე გადასვლის შანსი დორტმუნდის „ბორუსიასა" („კოტბუსს" სტუმრობს) და „ჰამბურგს" (ბილეფელდში ჩადის) გაუჩნდებათ. ცხადია, ამისათვის ორივე მათგანმა უნდა მოიგოს და უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდს კარგი შანსი აქვს. „დორტმუნდი" „კოტბუსს" ხუთჯერ ესტუმრა და ამდენჯერვე მოუგო. „ენერგიში" დისკვალიფიცირებულ **ციბიგს კადასი** შეცვლის, „ბორუსია" კი იმავე შემადგენლობით იასპარეზებს, რომლითაც „ბაიერნს" 1:1 ეთამაშა – ანუ, ახალწვეულ **იან პიო ლის** დღეს შავ-ყვითელ ფორმაში, სავარაუდოდ, ვერ ვნახავთ. ამრიგად, **დედეს** ისევ ახალგაზრდა **შმელცერი** შეცვლის. საეჭვოა **მოჰამედ ზიდანის** ასპარეზობაც. თუ ეგვიპტელი ვერ ითამაშებს, ძირითად შემადგენლობაში მის ნაცვლად, სავარაუდოდ, არგენტინელ **დიეგო კლიმოვიჩს** ვიხილავთ.

„ჰამბურგსაც" („არმინიასთან") კარგი ბალანსი აქვს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩრდილოგერმანელებმა ბილეფელდში ოდენ ორი ქულა დატოვეს, სხვა შემთხვევებში კი შინ გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ. „ჰამბურგი" სატრანსფერო ბაზარზე ძალიან გააქტიურდა და აი, წინა კვირას **მლადენ პეტრიჩის** დებიუტი შედგა (საგოლე პასი), ახლა კი მთელი ჰამბურგი „ბაიერნიდან" გადმოყვანილი **მარსელ იანსენის** დებიუტს ელოდება. ორშაბათამდე (როცა სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება) **მარტინ იოლი** ბრაზილიელების, **ალექს სილვასა და ტიაგო ნევესის** ტრანსფერებსაც სრულყოფს.

ორი ტურის შემდეგ ყველაზე საცოდავი გუნდი მიონხენგლადბახის „ბორუსიაა" – **იოს ლუჰუკაის** გუნდს ორივე მატჩი წაგებული აქვს და სატურნირო ცხრილის ფსკერზეა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, „გლადბახს" არც ეს ტური უქადის კარგ რამეს, რადგან მიონხენგლადბახში „ვერდერის" სახით გერმანიის ყველაზე ამბიციური გუნდი („ბაიერნის" შემდეგ) ჩადის. თანაც, „მუსიკოსებს" „ბორუსია პარკზე" **დიეგოც** დაეხმარება, რომელიც პეკინიდან დაბრუნდა და სრულ მზადყოფნაშია.

ისევე, როგორც „ვერდერმა", ახალი სეზონი „ბაიერნმაც" ორი ფრით დაიწყო და თუ ასეთი სტარტი ბრემენული კლუბისთვის უბრალოდ „ცუდი სტარტია", რეკორდმაისტერისთვის კატასტროფის ტოლფასი გახლავთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ თვითონ „ბაიერნის" ფანები, რომლებიც **იურგენ კლინსმანის** გაცილებით უკეთეს დებიუტს ელოდებოდნენ. მაგრამ ხვალ რეკორდმაისტერი ბერლინის „ჰერტას" მასპინძლობს, გუნდს, რომელიც „ბაიერნისთვის" ყოველთვის ყველაზე სასურველი მეტოქე იყო (მიუნხენში ჩატარებული მატჩების ბალანსი: 19/4/2). შესაბამისად, კლინსმანი და კომპანია დღეს პირველ სამ ქულას გეგმავენ და ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ გეგმა ჩაუვარდებათ. მით უმეტეს, რომ „ჰერტა" გადაღლილია – დედაქალაქელებმა ხუთშაბათს უეფას თასზე იასპარეზეს (მომდევნო ეტაპზე გავიდნენ) და თანაც, ერთ-ერთი ლიდერი, **ხერმიტი** (მძიმე ტრავმა მიიღო) დაკარგეს. „ბაიერნს" ახალწვეული **მასიმო ოდო** ამ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. იტალიელი სრულფასოვანი ბაიერნელი ორშაბათიდან გახდება. ხვალვე „შტუტგარტი", რომელიც წინა ტურში „ლევერკუზენთან" დამარცხდა და რომელმაც ასევე უეფას თასზე იასპარეზა, ერთქულიან „ჰანოვერს" მიიღებს.



შეინარჩუნებს რალფ რანგნიკის გუნდი ლიდერობას?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ბორუსია (დ) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5. ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. ჰამბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7. კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 8. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 9. შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 10. კარლსრუე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 11. არმინია | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 12. ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. ბაიერნი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 14. ბოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 0 |
| 16. კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 17. ჰანოვერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 18. ბორუსია (მ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნმა მიზანში ბერბატოვი ამოიღო!

## მიუნხენელებს საყრდენიც სჭირდებათ და ტიმოშჩუკს უმიზნებენ



დიმიტარ ბერბატოვი ბაიერნის სამიზნეცაა

„ბაიერნი" სატრანსფერო ბაზარზე კიდევ გააქტიურდა. მიუნხენელებმა **მარსელ იანსენი** „ჰამბურგს" მიჰყიდეს და სამაგიეროდ, „მილანიდან" ერთი წლით **მასიმო ოდო** ინათხოვრეს. ვის ყიდვას აპირებს კიდევ რეკორდმაისტერი? როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ბავარიულ გრანდს ერთი თავდამსხმელი და ერთი საყრდენი სჭირდება.

„ბილდის" ინფორმაციით, **იურგენ კლინსმანის** სასურველი ფეხბურთელების სიაში პირველ ადგილზე „ტოტენჰემის" ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ ბერბატოვია**. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე კი რეკორდმაისტერმა მიზანში სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" უკრაინელი ჩამშლელი **ანატოლი ტიმოშჩუკი** ამოიღო.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის საფეხბურთო ლიგამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვა 1 სექტემბრამდე გადადო, რაც იმას ნიშნავს, რომ ორშაბათი „ბაიერნის" შეფების განკარგულებაში იქნება. *„დიდი შანსია, რომ ორშაბათამდე კიდევ ერთი ან ორი ფეხბურთელი შევიძინოთ. მას მერე, რაც იანსენი გავყიდეთ, სატრანსფერო ბიუჯეტი გაიზარდა,"* – აცხადებს „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**. შეგახსენებთ, რომ მიუნხენელებმა იანსენის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო მიიღეს.

ცნობილი ფაქტი იყო ისიც, რომ „ბაიერნს" **მარიო გომესის** სანაცვლოდ 25 მილიონის გადახდა უნდოდა. შესაბამისად, ახალი, მაღალი კლასის ფეხბურთელისთვის ეს თანხაც გამზადებულია. ბულგარეთის ნაკრების ფორვარდი ბერბატოვი 2006 წელს "ლევერკუზენიდან" „ტოტენჰემში" 16 მილიონად გაიყიდა, მაგრამ დღეს გაცილებით ძვირად ფასობს. ამას წინათ "მანჩესტერ იუნაიტედი" ბულგარელში 30 მილიონს იხდიდა, მაგრამ "ტოტენჰემმა" გარიგებაზე უარი თქვა. თუმცა მაშინ "მამლებს" **რომან პავლიუჩენკო** ჯერ კიდევ არ ჰყავდათ ნაყიდი.

გერმანიის ნაკრები

# ლიოვმა პანდერს უხმო

## მიხაელ ბალაკიც ბრუნდება

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში იბრძოლებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ბუნდესგუნდში ბრუნდებიან **ტორსტენ ფრინგსი** და კაპიტანი **მიხაელ ბალაკი**. ამას გარდა, იოგიმ ერთწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გამოიძახა "შალკეს" მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი**.

ბუნდესნაკრები 6 სექტემბერს ლიხტენშტაინში ჩადის, ოთხი დღის შემდეგ კი ფინეთის ნაკრებს სტუმრობს. ამ შეხვედრებში გერმანიის პირველი გუნდის პირველი მეკარე კვლავ ჰანოვერელი **რობერტ ენკე** იქნება - ზუსტად ისე, როგორც ბელგიასთან მატჩში. ბრემენელი **ტიმ ვიზე** კი სათადარიგო გოლკიპერის სტატუსს უნდა დასჯერდეს. როგორც იცით, **იენს ლემანის** შეცვლის უმთავრესი კანდიდატი, ლევერკუზენელი **რენე ადლერი** ტრავმირებულია.

*"პანდერი ყოველთვის იყო ჩვენს სიაში, მაგრამ გასულ სეზონში ხშირად გახლდათ ტრავმირებული, რის გამოც ვერ ვიძახებდით. ისე კი, მის შესაძლებლობებში ძველებურად დარწმუნებული ვარ,"* – ასეთი კომენტარი გააკეთა ლიოვმა პანდერის გამოძახებასთან დაკავშირებით და იქვე დასძინა, ტრავმირებული რომ არ ყოფილიყო, კრისტიანს ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად წავიყვანდიო. პანდერს ბუნდესგუნდში ორი მატჩი აქვს ჩატარებული. აქედან, ერთი ინგლისის ნაკრებთან (ამხანაგური), სადაც მან გამარჯვების გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ლიოვს ამ ორ შეხვედრაში ტრავმების გამო ორი მცველი, **პერ მერტეზაკერი** და **არნე ფრიდრიხი** დააკლდება.

ლიოვმა კვლავ უხმო "შტუტგარტის" უკანახაზელ **სერდარ ტასკის**, რომელმაც ბელგიასთან სოლიდური შთაბეჭდილება დატოვა. განაცხადშია მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ახალგაზრდა პლეიმეიქერი **მარკო მარინიც**, რომელმაც ბელგიასთან შესანიშნავად ითამაშა და ულამაზესი გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, ლიოვმა ყურადღება არ მიაქცია **ტიმ ბოროვსკისა** და **ჯერმეინ ჯონსს**, რომლებიც ახლახან გამოჯანმრთელდნენ.

თავდასხმაში ცვლილებები არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდ ფორმაშია, იოგი **მიროსლავ კლოზეს** კვლავ ნდობას უცხადებს.



კრისტიან პანდერი გერმანიის ნაკრებში დააბრუნეს

გერმანიის ნაკრების განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** რობერტ ენკე (ჰანოვერი), ტიმ ვიზე (ვერდერი).

**მცველები:** კლემენს ფრიტცი (ვერდერი), მარსელ იანსენი (ჰამბურგი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), კრისტიან პანდერი (შალკე), სერდარ ტასკი (შტუტგარტი), ჰაიკო ვესტერმანი (შალკე).

**ნახევარმცველები:** მიხაელ ბალაკი (ჩელსი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), მარკო მარინი (ბორუსია მ), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (შტუტგარტი), პატრიკ ჰელმესი (ლევერკუზენი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), კევინ კურანი (შალკე), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# სერია A

სტარტის წინ

# დაცვას მიხედე, კარლო, დაცვას!







**იტალიაში** ყოველ წელს ასე ხდება. ახლაც, ხანგრძლივი დავა-კამათის შემდეგ, ზედ სტარტის წინ მოგვარდა სერია A-ს სატელევიზიო უფლებათა გაყიდვის საქმე. გუშინ ეს უფლებები დაიბევა Rai-მ, რომელმაც ამ საქმეში პირველი სეზონისთვის 27.5 მილიონი ევრო გაიღო. გასაგებია ყველაფერი. იტალიის ჩემპიონატი გაძვირდა. ასეთი საინტერესო და დრამატული სატრანსფერო ზაფხული არც ერთ წამყვან ლიგაში არ ყოფილა. და რაკი ზაფხული ასეთი საინტერესოა, ცხადია, ეს იმის წინაპირობაა, რომ თავად ჩემპიონატისგან უფრო მეტს უნდა ველოდოთ. ვგონებთ, მოლოდინი ფუჭი არ უნდა იყოს. „ინტერში" ჟოზე მოურინიო მივიდა, „მილანმა" რონალდინიო იყიდა და ანდრეი შევჩენკო დაიბრუნა... მცირე ანალიზითაც ჩანს, რომ ყველა ფავორიტი დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე გასულ სეზონში...

**ჟოზე მოურინიოს** მთელი იტალია (და არა მარტო) გამადიდებელი შუშის ქვეშ უყურებს. ეს მისი პიროვნების დამსახურებაა, პიროვნების და, რა თქმა უნდა, სამწვრთნელო ღირსებებისაც. ასეთია „განსაკუთრებული კაცის" ხვედრი. განსაკუთრებულობა თავისთავად ნიშნავს, რომ წნეხის ქვეშ ხარ. მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჟოზეს ყოველგვარი წნეხი ფეხებზე ჰკიდია. მას თავისი გზა აქვს არჩეული და ამ გზით მიდის. მაგრამ სეზონის სტარტზე პორტუგალიელს ძალიან გაუჭირდება. დაცვის ხაზი პარალიზებულია, **ადრიანოსაც** ტრავმა აქვს... არადა, პირველ ტურებში დაკარგულმა ქულებმა გუნდზე, შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს.

მოურინიოს მთავარი საზაფხულო შენაძენი **ამანტინო მანსინია**. მაგრამ ეს მოურინიოსთვის, თორემ **მასიმო მორატის** რომ ჰკითხოთ, კლუბის ყველაზე ხმაურიანი ნაბიჯი სწორედ რომ ჟოზეს დაქირავებაა. მის წინაშე ურთულესი ამოცანები დგას. გამძაფრებული კონკურენციის პირობებში მან სკუდეტო უნდა მოიგოს. ეს ის სტანდარტია, რომელიც **რობერტო მანჩინიმ** დაამკვიდრა. მოურინიოს არ აქვს უფლება, მანჩინიზე დაბლა იდგეს. ამას გარდა, მან ჩემპიონთა ლიგის მწვერვალიც უნდა დალაშქროს. აბა, როგორ?! მოდი და, ნუ „შეგშურდება" მოურინიოსი.

მაგრამ იტალიელი ექსპერტების აზრით, „ინტერი" სულაც არ არის ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი. დიახ, ეს სტატუსი „მილანს" აქვს მიკუთვნებული. ფაქტია, რომ „როსონერის" თავდასხმა ყველაზე ძლიერია - **ანდრეი შევჩენკო, რონალდინიო, ფილიპო ინძაგი, ალეშანდრე პატო, მარკო ბორიელო**... მაგრამ დაცვის ცენტრი? დიახ, „მილანს" ურჩევდნენ, რომ შემადგენლობა დაებალანსებინა. თუმცა **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** გადაყვნენ ფორვარდებს, ბოლოს კი, სასხვათაშორისოდ, მცველი **ფილიპ სენდეროსი** იყიდეს. შვეიცარიელი ნიჭიერია, მაგრამ ის არც **ალესანდრო ნესტაა**, არც **პაოლო მალდინი** და, გნებავთ, არც **კახა კალაძე**. თუმცა რაკი „როსონერისთვის" ამ სეზონში მთავარი სარბიელი სერია A-ა, ვფიქრობთ, ეს კონტინგენტი საკმარისი უნდა იყოს სკუდეტოს მოსაგებად.

„რომა" სატრანსფერო პერიოდის ბოლო სტადიაზე გააქტიურდა. **ფრანჩესკო ტოტის** თავდასხმაში გვერდს **ჟულიო ბაპტიშტა** დაუმშვენებს. ძალზე საინტერესო ფეხბურთელია ახალშეძენილი ფრანგი **ჟერემი მენეზიც**, რომელმაც შეტევა უნდა გამოაცოცხლოს. **ლუჩანო სპალეტის** კურსი აბსოლუტურად გამართლებულია - მარტო ტოტის იმედად ყოფნა აღარ შეიძლება. რაც შეეხება ნახევარდაცვასა და დაცვას, ორივე რგოლი სტაბილურია. დაცვის მარცხენა ფლანგს კარგი სამსახური უნდა გაუწიოს გამოცდილმა ნორვეგიელმა **იონ არნე რიისემ**. ერთი სიტყვით, ჩემპიონობის ფავორიტად რჩება „რომაც", მაგრამ მხოლოდ „მილანისა" და „ინტერის" შემდეგ.

ერთობ საინტერესო იყო „იუვენტუსის" სატრანსფერო კამპანია. ტენდენციას არც „ბებერმა ქალბატონმა" უღალატა და თავდასხმა **კარვალიო ამაურით** გააძლიერა. ახლა **კლაუდიო რანიერის** თავსატეხი ისაა, რომ **ალესანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე** და ამაური რაციონალურად გამოიყენოს. „იუვე" ყველა ხაზში თანაბრად გაძლიერდა - დაცვაში **ოლოფ მელბერგი** და **დარიო კნეჟევიჩი**, ნახევარდაცვაში **კრისტიან პოულსენი**... ეგ არის, რომ ტრავმების გამო სეზონის დასაწყისში რანიერისაც გაუჭირდება: **პაველ ნედვედსა** და **მოჰამედ სისოკოს** გარკვეული პერიოდის განმავლობაში მკურნალობა მოუწევთ.

და მაინც, „იუვენტუსის" დღევანდელი შემადგენლობა არ არის იმდენად ძლიერი, რომ ორივე ფრონტზე თანაბარი ძალით იბრძოლოს. სავარაუდოდ, კლუბი აქცენტს ჩემპიონატზე გააკეთებს. თუმცა გზადაგზა უფრო გამოჩნდება...

სიმპათიურ გუნდად რჩება „ფიორენტინა", რომელსაც **არიგო საკი** სკუდეტოს უწინასწარმეტყველებს. სერიოზულ ტრანსფერებად უნდა განვიხილოთ დაცვაში **ხუან მანუელ ვარგასისა** და **ლუჩანო ძაურის** მოსვლა, და რაც მთავარია - **ალბერტო ჯილარდინო** წინა ხაზზე. თუ ყველაფერი კარგად იქნა, **ადრიან მუტუსა** და „ჯილას" ტანდემს ამ სეზონში დაახლოებით 35 გოლის გატანა შეუძლია. რაც შეეხება შანსებს, „ვიოლა" ოთხეულში მოხვედრითაც კმაყოფილი უნდა იყოს. მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ბევრი რამ სასტარტო შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

ეს, რაც შეეხებათ ლიდერებს. საშუალოთა შორის ლიდერად „სამპდორია" რჩება. **ვალტერ მაძარის** შარშან ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. წესით, „სამპი" უკეთ უნდა დაიქოქოს, მაგრამ არ გვგონია, ხუთეულში მოხვდეს. ჯერჯერობით ამ გუნდის მაქსიმუმად მე-6 ადგილი მიიჩნევა. თავდასხმაში პერსპექტიული შენაძენია ურუგვაელი **ბრუნო ფორნაროლი**, რომელმაც **ანტონიო კასანოსთან** ერთად საინტერესო წყვილი უნდა შექმნას. თუმცა დანაკლისია ნახევარდაცვის ლიდერის **სერჯო ვოლპის** წასვლა.

კიდევ უფრო უხმაურო იყო „უდინეზეს" სატრანსფერო მოძრაობა. დაცვის ხაზისთვის აიყვანეს გამოცდილი **ლუიჯი სალა**. ეს არის და ეს. **პასკუალე მარინოს** შარშანდელი შედეგის (მე-7 ადგილი) გამეორება შეუძლია ან, მაქსიმუმ, ერთი ადგილით წინ წაწევა.

მოსამზადებელ პერიოდში ერთობ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა „ნაპოლი", რომელმაც ბაზარზეც ნაყოფიერად ივაჭრა. ამ ყველაფრის შედეგს მოგვიანებით ვნახავთ, მაგრამ **დიეგო მარადონას** ყოფილი კლუბისთვის პერსპექტივა ნამდვილად არ არის ცუდი. მიმომხილველები მოუთმენლად ელიან არგენტინელი ფორვარდის **ხერმან დენისის** ოფიციალურ დებიუტს. ამ ბიჭს ძალიან აქებენ. დაცვაში კარგი ნამატია ექსსამპდორიელი **კრისტიან მაჯო**. ვფიქრობთ, „ნაპოლის" ექვსეულში მოხვედრა შეუძლია.

„ატალანტამ" **კრისტიან ვიერი** დაიბრუნა, მაგრამ 35 წლის „ბობოს" იმედი ახლა ნაკლებად უნდა ჰქონდეს **ლუიჯი დელ ნერის**, რომელსაც მებრძოლი გუნდი ჰყავს, გუნდი, რომელიც ყველა რგოლში თანაბრად გაძლიერდა. დელ ნერის წელს მეტი ამბიცია აქვს - „მფრინავი ვირების" ყოფილ დამრიგებელს, თურმე, ხუთეულში მოხვედრა სურს. ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ეს რეალობას მოკლებული. გამართლების ამბავიცაა.

„ჯენოას" მწვრთნელ **ჯან პიერო გასპერინის** მთავარი საფიქრალი იყო, ვის უნდა შეეცვალა „მილანში" დაბრუნებული **მარკო ბორიელო**. ჯერჯერობით მწვრთნელმა აქცენტი „იუვენტუსიდან" წასულ **რაფაელე პალადინოზე** გააკეთა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საშუალო დონის გუნდებიდან გენუელებმა ყველაზე ხმაურიანი გარიგებები გაჩარხეს. როგორ არ ალვნიშნოთ **ალესანდრო პოტენცა** (ფიორენტინა), **ანდრეა გასბარონი** (პარმა), **ჯანდომენიკო მესტო** (უდინეზე), **ფრანჩესკო მოდესტო** (რეჯინა), **რუბენ ოლივერა** (იუვენტუსი) და, რა თქმა უნდა, **მატეო ფერარი** „რომადან", იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი. ვის-ვის და, „ჯენოას" ნამდვილად შეუძლია ექვსეულში მოხვედრა.

გაცილებით მეტზე ოცნებობს „პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი**, თუმცა ოდიოზური ბოსისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ის აღფრთოვანდა ერთ-ერთი ამხანაგური მატჩით და მწვრთნელ **სტეფანო კოლანტუონოს** ეგრევე ჩემპიონთა ლიგის საგზური შეუკვეთა. არადა, სიცილიურმა კლუბმა ამ ზაფხულს ორი საკვანძო მცველი, ორი მსოფლიო ჩემპიონი გაყიდა - **ანდრეა ბარძალიმ** და **კრისტიან ძაკარდომ** „ვოლფსბურგს" მიაშურეს. მთავარი დანაკლისი კი ფორვარდ ამაურის ტურინული ტრანსფერი იყო. რაც შეეხება მატებას, ნახევარდაცვაში გამოცდილი **ფაბიო ლივერანი** მოვიდა, ხოლო კარს „აძურას" მეორე კიპერი **მარკო ამელია** დაიცავს. ცხადია, დღევანდელ „პალერმოს" არ ჰყავს ის შემადგენლობა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს. მაგრამ ძამპარინის ასე სურს, მორჩა და გათავდა. ჰოდა, გაგორდება კიდეც კოლანტუონოს თავი, უკვე მერამდენედ...

გამოცანად რჩება „ლაციო", რომელსაც მეტად ცუდი სეზონი ჰქონდა. თუმცა **კლაუდიო ლოტიტომ** და **დელიო როსიმ** თითქოს დაძრეს საქმე, გადასარევად არა, მაგრამ მაინც. ყოველ შემთხვევაში, პლეიმეიქერად **ფრანსელინო მათუსალემის** მოსვლა კარგი სვლაა. ნახევარდაცვას **კრისტიან ბროკი** გააძლიერებს, ბებერი **მარკო ბალოტას** ნაცვლად კარს პერსპექტიული არგენტინელი გოლკიპერი **ხუან პაბლო კარისო** დაიცავს. გუნდშია კიდევ ერთი არგენტინელი, ასევე საინტერესო ფორვარდი **მაურო სარატე**, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ. მოკლედ, **ლუჩანო ძაურის, ვალონ ბეჰრამისა** და **გაბი მუდინგაის** წასვლა, ვგონებთ, კომპენსირებულია. „ლაციო" ხარისხობრივად გაძლიერდა. და კიდევ: ლოტიტომ მოახერხა და **გორან პანდევი** შეინარჩუნა. პრობლემა ისაა, ჩემპიონატის სტარტი გაუცდება თავდამსხმელ **ტომაზო როკის**, რომელმაც ოლიმპიადაზე ტრავმა მიიღო. რას მიაღწევს „ლაციო"? ვფიქრობთ, ისიც ექვსეულის გუნდია.

წესით, უკეთესი სეზონი უნდა ჰქონდეს „ტორინოს", რომელმაც თავდასხმაში **ნიკოლა ამორუზო** და „მანჩესტერ სიტიში" დაწუნებული **როლანდო ბიანკი** დაიმატა. ეს ის ბიანკია, ორი წლის წინ „რეჯინაში" რომ გაიბრწყინა (18 გოლი). „კატანია", „კალიარი", „სიენა", „რეჯინა"... ერთი რანგის გუნდები არიან, ამათ დავამატოთ სერია A-ში დაბრუნებული „ლეჩე", „კიევო" და „ბოლონია". დებიუტანტებიდან ყველაზე უსახური სატრანსფერო კამპანია „ლეჩეს" ჰქონდა. „ბოლონიას" ფასეული შენაძენები აქვს - **გაბი მუდინგაი** (ლაციო), **სერჯო ვოლპი** და **კრისტიან ძენონი** (სამპდორია), **მარკო დი ვაიო** (ჯენოა). ამ კონტინგენტით ემილიურ კლუბს სერია A-ში დარჩენა არ უნდა გაუჭირდეს. რაც შეეხებათ დანარჩენებს, მათ დაახლოებით ერთნაირი შანსები აქვთ.

სერია A მობრძანდება...

**გიორგი გელაშვილი**

| I ტური |
| --- |
| **დღეს** |
| უდინეზე-პალერმო |
| სამპდორია-ინტერი |
| **ხვალ** |
| ატალანტა-სიენა |
| კალიარი-ლაციო |
| კატანია-ჯენოა |
| კიევო-რეჯინა |
| ფიორენტინა-იუვენტუსი |
| მილანი-ბოლონია |
| რომა-ნაპოლი |
| ტორინო-ლეჩე |




# პრიმერა დივიზიონი

სტარტის წინ

# რეალი თუ ბარსა? თუ ვინმე სხვა?







უნაი ემერი



ხავიერ აგირე

**ნებისმიერი ტურნირის მთავარი ინტრიგა ისაა, თუ ვინ გახდება გამარჯვებული. პრიმერა დივიზიონის შემთხვევაში, კითხვა უფრო მეტ კონკრეტიკას შეიცავს - „რეალი" თუ „ბარსელონა"? მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ამ ორ გიგანტს მუდმივად ჰყავდა ტიტულის მოცილე „ვალენსიის", „სევილიისა" თუ „ვილიარეალის" სახით, მაინც, პრიმერას უპირველესი ხიბლი „რეალისა" და „ბარსას" დაპირისპირებაა...**

## ზოგადად...

მაგრამ მაინც შევთანხმდეთ, რომ ამ დაპირისპირებაში ისინი აბსოლუტურად მარტონი ვერ იქნებიან. ექსპერტების აზრით, ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი, იმავე „ვილიარეალისა" და „ვალენსიის" გარდა, „ატლეტიკოსაც" აქვს. აქ არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი სპორტული ამბიცია. ეს ამბიცია სერიოზულ საკადრო პოტენციალს ეყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ „ვალენსია" გასულ სეზონში ძლივს გადაურჩა პრიმერადან გავარდნას, ამ გუნდის შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. რაც მთავარია, „ღამურებმა" ყველა წამყვანი მოთამაშე შეინარჩუნეს...

„სევილიას", „რასინგს", „ბეტისს", „დეპორტივოსა" და „ესპანიოლს" აქვთ იმის შანსი, რომ ფავორიტებს სისხლი გაუშრონ ან თავადაც განაცხადონ პრეტენზია თუნდაც ოთხეულში მოხვედრაზე. ისევე, როგორც არავინ იფიქრებდა, იმავე „ვალენსიას" ლიგაში დასარჩენად რომ მოუწევდა ბრძოლა, ახლაც არ არის გამორიცხული, კიდევ ერთხელ გაისროლოს „სევილიამ"... ან „დეპორტივოს" ფაქტორი რატომ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში? ბოლო წლებში დაძაბუნებულ გალისიელებს ზურგს უმაგრებს ტრადიცია და არანაკლები ამბიციაც იმისი, რომ პრიმერას ელიტაში დაბრუნდნენ.

„მალიორკა", „ალმერია", „ხეტაფე", „ბილბაო"... შეიძლება, „ვალიადოლიდიც". ეს ის კატეგორიაა, ნებისმიერისგან რომ უნდა ველოდოთ როგორც ალმასვლას, ისე უფსკრულში გადაჩეხვას. საქმე გვაქვს ანგარიშგასაწევ ძალასთან. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, ეს არის ძალზე საინტერესო, შუალედური ჯგუფი გუნდებისა, რომელთაც შეუძლიათ, სერიოზული გავლენა იქონიონ როგორც ევროსაგზურების, ასევე სეგუნდა დივიზიონის ბილეთების განაწილებაზე.

რაც შეეხებათ „რეკრეატივოს", „ოსასუნას", „ნუმანსიას", „მალაგასა" და „ხიხონს", ვფიქრობთ, მათთვის ისიც დიდი წარმატება იქნება, თუ უმაღლეს დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებენ.

## რეალი

ახლა კი თითოეულ გუნდს ცალ-ცალკე გავყვეთ და, რა თქმა უნდა, ჩემპიონით დავიწყოთ. „რეალს" არ ჰქონდა იმდენად ხმაურიანი სატრანსფერო აქტივობა, როგორც წინა წლებში, როცა აქცენტი კეთდებოდა არა იმდენად სპორტულ, არამედ კომერციულ პროექტებზე. თუმცა აღსანიშნავია ის ბრძოლაც, რომელსაც **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** მანჩესტერელი **კრისტიანო რონალდოს** გადაბირებისთვის აწარმოებდნენ. საბოლოოდ, რონალდო „ოლდ ტრეფორდზე" დარჩა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „თეთრები" არ გაძლიერებულან.

ჯერჯერობით მათი მთავარი შენაძენი ჰოლანდიელი **რაფაელ ვან დერ ვაარტია**. ყურადსაღებია 23 წლის ტალანტის **რუბენ დე ლა რედის** ტრანსფერიც. გარკვეულწილად, დანაკარგია **ჟულიო ბაპტიშტას** წასვლა („რომაში"), ბოლო დღეებში სამეფო კლუბმა კინაღამ **რობინიოც** დაკარგა, მაგრამ რაკი მისი რეალური ალტერნატივა არ ჩანდა, **ბერნდ შუსტერმა** მის შესანარჩუნებლად ყველაფერი იღონა.

## ბარსელონა

კატალონიურ გრანდში სერიოზული ცვლილებები მოხდა, რის გამოც მისი აქციები „რეალისას" ჯერჯერობით ვერ უტოლდება, მაგრამ ვინ იცის... პირველ რიგში, აღსანიშნავია როტაცია სამწვრთნელო სკამზე. გამოცდილი და ტიტულოვანი **ფრანკ რაიკაარდი** გამოუცდელმა და უტიტულო **პეპ გვარდიოლამ** შეცვალა. ამხელა კონტრასტის მიუხედავად, **ჟოან ლაპორტამ** ნდობა გამოუცხადა არა იმდენად მწვრთნელს, რამდენადაც პიროვნებას, ავტორიტეტს, კლუბის სიმბოლოსა და ყოფილ კაპიტანს. მისი გათვლით, რაიკაარდის მმართველობის ბოლო ორ წელიწადში „ბარსას" სწორედ პიროვნული ხასიათის პრობლემები ღრღნიდა, თორემ ვარსკვლავურ შემადგენლობას არც ერთ ფრონტზე პრობლემები არ უნდა ჰქონოდა. ფაქტი ისაა, რომ „ბლაუგრანა" თითქმის თავიდან შენდება.

კლუბი დატოვეს **დეკუმ, რონალდინიომ, ჯანლუკა ძამბროტამ** და **ლილიან ტურამმა**. მოულოდნელი სვლა იყო ახალგაზრდა ტალანტის **ჯოვანი დოს სანტოსის** „ტოტენჰემში" გაყიდვაც. მაგრამ მოვიდნენ ისეთი ფეხბურთელებიც, რომელთაც გარკვეული დროის შემდეგ ამ დანაკლისის შევსება შეუძლიათ. მართალია, გვარდიოლამ ვერ შეძლო თავდასხმის გაძლიერება და, ალბათ, ვეღარც მოასწრებს ამას, მაგრამ ის ფაქტი, რომ **სამუელ ეტო'ო** და **ტიერი ანრი** არ წასულან, გუნდს მაინც სერიოზული კოზირად რჩება. არ დაგვავიწყდეს **ლიონელ მესისა** და **ბოიან კრკიჩის** ფაქტორები.

**დანი ალვეშისა** და **ალექსანდრ გლების** მოსვლით კი, შეიძლება ითქვას, დღევანდელი გუნდი უფრო უკეთაცაა დაბალანსებული, ვიდრე რაიკაარდის დროს იყო. თუმც ამასაც დრო გვიჩვენებს.

## ატლეტიკო

„ბარსასგან" განსხვავებით, „როხიბლანკოსმ" ლიდერები შეინარჩუნა. მეტიც, დღევანდელი „ატლეტიკო" პოტენციურად უფრო ძლიერია, ვიდრე შარშანდელი, თუნდაც იმით, რომ შემადგენლობა გაცილებით საიმედოდაა შედუღაბებული. აქაც უკეთესი ბალანსია მიღწეული დაცვაში ჩეხი **ტომაშ უიფალუშისა** და ჰოლანდიელი **ჯონი ჰეიტინგას** მოსვლით, კარს კი **გრეგორი კუპე** დაიცავს, მართალია, ასაკოვანი, მაგრამ მაინც საიმედო კიპერი. შენარჩუნებულია **სერხიო აგუეროც**. ამას გარდა, ორიოდ დღის წინ მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდნენ. ექსპერტები ფიქრობენ, რომ დროა, **ხავიერ აგირემ** საქმე თავის სასარგებლოდ შეატრიალოს. ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებს მწვრთნელი ორ ფრონტზე ძალების განაწილებას. სწორედ აქ გამოჩნდება ამ ნიჭიერი სპეციალისტის ალღოც.

## ვალენსია

„ღამურებმა" ურთულესი სეზონი გადაიტანეს. ჩემპიონატის მიწურულს კლუბში ახალი პრეზიდენტი მივიდა, სამწვრთნელო კოლიზიების შემდეგ კი საკვანძო პოსტი ჩაიბარა ახალგაზრდა და პერსპექტიულმა **უნაი ემერიმ**, რომელზეც „მესტალია" დიდ იმედებს ამყარებს. ამ ცვლილებების მთავარი დადებითი მხარე ისაა, რომ ახალ ადმინისტრაციასა და მწვრთნელს (რომელიც უკვე იცნობდა გუნდს) მთელი ზაფხული ჰქონდათ სამუშაოდ და სუპერთასმა გვაჩვენა, რომ ეს დრო ტყუილად არ დაუკარგავთ. მეორეც, გაუმჯობესებულია საერთო კლიმატი. გაიხსენეთ შარშანდელი დაპირისპირება კლუბსა და ზოგიერთ წამყვან მოთამაშეს შორის, რაც კინაღამ სასამართლო გარჩევებამდე მივიდა...

მოკლედ, დღეს ეს ყველაფერი წარსულში დარჩა და „ვალენსია" პრიმერას სტარტს დიდი შემართებით ხვდება. როგორც ზემოთ ვთქვით, მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, კლუბმა ყველა ძირითადი ფიგურის შენარჩუნება შეძლო - **დავიდ ვილია, დავიდ სილვა, ხოაკინი, ბარახა, მატა** და სხვები მწყობრში არიან, ხოლო თუ **ვისენტემაც** აღიდგინა ძველებური ფორმა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვალენსია" მინიმუმ ოთხეულს არ უნდა გასცდეს.

## ვილიარეალი

„ვილიარეალის" ამოცანა არც ამ სეზონში იცვლება - ბრძოლა მაღალი (შეიძლება, უმაღლესიც) ადგილებისთვის. მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** ინარჩუნებს ლიდერებს და პარალელურად, ეძებს ტალანტებს სამხრეთ ამერიკაში. ჯერჯერობით ცნობილი ფიგურებიდან გუნდში მივიდნენ **ედმილსონი** („ბარსელონა") და **არიელ იბაგასა** („მალიორკა"). ამით პელეგრინომ კოლექტივის ღერძს მეტი სიმტკიცე შემატა. სატრანსფერო სეზონის მთავარი ამოცანა კი ნახევარმცველ **მარკუშ სენას** შენარჩუნება იყო და ეს ამოცანაც წარმატებითაა შესრულებული. პრეზიდენტმა **ფერნანდო როიგმა** გაესპანელებული ბრაზილიელი 30 მილიონ ევროდ შეაფასა, რითიც პოტენციური მყიდველები უარით გაისტუმრა. რაც შეეხება მოსალოდნელ პრობლემებს, „ატლეტიკოსა" არ იყოს, „ყვითელ სუბმარინებსაც" გაუჭირდებათ ორ ფრონტზე ბრძოლა. ვნახოთ, როგორ გადაანაწილებს ძალებს პელეგრინი, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერესი სპეციალისტია.

## სევილია

„სანჩეს პისხუანზე" ცოტა რთულადაა საქმე. არ შეიძლება, **დანი ალვეშის, კრისტიან პოულსენის, სეიდუ კეიტასა** და მწვრთნელ **ხუანდე რამოსის** წასვლამ გუნდს ნეგატიური კვალი არ დაამჩნიოს. მართალია, ახალი დამრიგებელი **მანოლო ხიმენესი** უკვე შეეჩვია დღევანდელ გუნდს, მაგრამ მას ახლა **აბდულაი კონკოს, ფერნანდო ნავაროსა** და **სებასტიან სკილაჩის** დროულ ადაპტირებაზეც მოუწევს ზრუნვა. მიუხედავად ამისა, ანდალუსიური კრებული მაინც სერიოზულ ძალად რჩება. ვფიქრობთ, ამ გუნდით „სევილიასთვის" მეხუთე ადგილი წარმატება იქნება.

## დეპორტივო

გასულ სეზონში „დეპორტივომ" ყველა გააკვირვა, როცა მძიმე სტარტისა და ნაკლებად საიმედო შემოდგომა-ზამთრის შემდეგ, ჩემპიონატი ევროთასებიდან ერთ ნაბიჯში დაასრულა. სახეზეა გამოცდილი მწვრთნელის **მიგელ ანხელ ლოტინას** ძალისხმევა, რასაც გალისიური კრებული კრიზისიდან გამოჰყავს. გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ ეს არის უწყვეტი პროცესი, რამაც ერთ დროს პრიმერა დივიზიონის გრანდი ძველ სიმაღლეზე უნდა დააბრუნოს. ჯერჯერობით ლოტინას მთავარი ამოცანა სტაბილურობის მიღწევა იქნება. ვფიქრობთ, ახალ სეზონში „დეპორს" უეფას თასის საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს, აი მერე კი...

## ...და სხვები

„მალიორკამ" დიდი დანაკლისი განიცადა. ბალეარული კლუბი დატოვა ფორვარდმა **დანიელ გუისამ**, რომელმაც თავი ევროპის ჩემპიონატზეც გამოიჩინა. **ლუის არაგონესმა** ის „ფენერბაჰჩეში" წაიყვანა. ჯერჯერობით კუნძულელებს შესაფერისი ალტერნატივა არ ჰყავთ. **გრეგორიო მანსანოს** არც „სევილიაში" წასული **ფერნანდო ნავაროს** შეცვლა გაუადვილდება. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღეღა დარჩა და ვნახოთ, თუ მოასწრებს „მალიორკა" **ფერნანდო მორიენტესის** გადაბირებას.

„ბეტისის" მთავარი შენაძენი თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი **მეჰმეთ აურელიოა**. სხვა მხრივ, სევილიელებს დიდი აქტივობა არ გამოუჩენიათ. რამდენად შეძლებს **პაკო ჩაპარო** გუნდის საბრძოლველად მომართვას, ძნელი სათქმელია. შარშანდელი სეზონის შემდეგ „ბეტისი" ქომაგების წინაშე ვალშია.

„ალმერია" წინა ჩემპიონატის აღმოჩენა (მე-8 ადგილი) იყო და ეს მთლიანად მწვრთნელ **უნაი ემერის** დამსახურება გახლდათ. შეგახსენებთ, ემერი ახლა „ვალენსიაშია". ამ კაცის ხელში „ალმერიამ" საკუთარ მოედანზე „რეალსა" და „ბარსასაც" კი დააკარგვინა ქულები. ვნახოთ, როგორ მემკვიდრეობას გასწევს **გონსალო არკონადა**. ექსპერტთა ვარაუდით, „ალმერიას" მთავარი ამოცანა პრიმერაში დარჩენა იქნება.

„ესპანიოლის" მთავარი ამოცანა იქნება, როგორმე დაიბრუნოს ის თამაში, წინა სეზონის პირველ წრეში რომ აჩვენებდა. თუმცა ტრანსფერებში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავთ. რაკი „ბილბაო" ბასკების გარდა არავის ყიდულობს, ამ გუნდისგან სენსაციას არ ელიან, თანაც, მარცხენა მცველი **ასიერ დელ ორნო** „ვალენსიაში" გადავიდა.

„რეკრეატივომ" ბომბარდირი **ფლორენ სინამა-პონგოლე** „ატლეტიკოში" გაუშვა. სწორედ მისი შეცვლა იქნება **მანოლო სამბრანოს** მთავარი თავსატეხი. „ხეტაფე" ყველა იმ მოთამაშემ დატოვა, ვინც არენდით ჰყავდა აყვანილი. სამაგიეროდ, დაბრუნდნენ ნახევარმცველები - **ესტებან გრანერო** და **ხაიმე გავილანი**. ამავე დროს, პრობლემა იქნება „რეალში" წასული დე ლა რედის შეცვლა. „რასინგი" მწვრთნელმა **მარსელინომ** დატოვა და სწორედ ამის კომპენსირება მართებს კლუბის ხელმძღვანელობას. „ვალიადოლიდის" სატრანსფერო მოღვაწეობა საშუალოზე დაბალ შეფასებას იმსახურებს. გუნდმა ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირი **ხოსება ლორენტე** დაკარგა. ასტურიელებს აშკარად შემადგენლობის გაძლიერება სჭირდებათ. ლიდერი დაკარგა „ოსასუნამაც". როგორც იქნა, **კარლოს ველამ** სამუშაო ვიზა მიიღო და „არსენალში" გადაბარგდა. იქიდან გამომდინარე, რომ პამპლონელებს სერიოზული შენაძენები არ გაუკეთებიათ, ამ სეზონში, ალბათ, პრიმერაში დარჩენისთვის მოუწევთ ბრძოლა.

„მალაგა" უმაღლეს დივიზიონს ორწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ჯერჯერობით ვერ ვიტყვით, რომ ხელმძღვანელობა გუნდის გასაძლიერებლად სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. ასე რომ, **ანტონიო ტაპიას** მთავარი საზრუნავი გავარდნის თავიდან აცილება იქნება.

დებიუტანტია „ნუმანსიაც". ბოლოს ეს გუნდი პრიმერაში სამი წლის წინ იყო. **სერხიო კრეშიჩს** პრობლემები აქვს თავდასხმაში. ამთავითვე ცხადია, რომ „ნუმანსია" ვარსკვლავებს ვერ მოწყვეტს.

კიდევ ერთი დებიუტანტი „ხიხონია", რომელსაც მძიმე ხვედრს უწინასწარმეტყველებენ. კლუბს ერთი საყურადღებო შენაძენიც არ გაუკეთებია. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ცოტა ხნის წინ „ხიხონმა" ამხანაგურ მატჩში „მილანს" 2:0 მოუგო.

**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიმერა დივიზიონი

LFP

# ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი 2008/09. განაცხადები

## რეალი

დაარსდა: 1902
სტადიონი: „სანტიაგო ბერნაბეუ" (87 000)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. იკერ კასილიასი | 20.05.81 |
| 13. ხორდი კოდინა | 27.04.82 |
| 25. იერჟი დუდეკი (პოლ) | 23.03.73 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. მიჩელ სალგადო | 22.10.75 |
| 3. პეპე (პორ) | 26.02.83 |
| 4. სერხიო რამოსი | 30.03.86 |
| 5. ფაბიო კანავარო (იტა) | 13.09.73 |
| 12. მარსელო (ბრა) | 12.05.88 |
| 15. როისტონ დრენტე (ჰოლ) | 08.04.87 |
| 16. გაბრიელ ჰაინცე (არგ) | 19.04.78 |
| 21. კრისტოფ მეცელდერი (გერ) | 05.11.80 |
| 22. მიგელ ტორესი | 28.01.86 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 6. მაჰამადუ დიარა (მალ) | 18.05.81 |
| 8. ფერნანდო გაგო (არგ) | 10.04.86 |
| 14. გუტი | 31.10.76 |
| 18. რუბენ დე ლა რედი | 05.06.85 |
| 19. რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰოლ) | 11.02.83 |
| 23. ვესლი სნეიდერი (ჰოლ) | 09.06.84 |
| 24. ხავი გარსია | 08.02.87 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. რაული | 27.06.77 |
| 9. ხავიერ სავიოლა (არგ) | 11.12.81 |
| 10. რობინიო | 25.01.84 |
| 11. არიენ რობენი (ჰოლ) | 23.01.84 |
| 17. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ) | 01.07.76 |
| 20. გონსალო იგუაინი (არგ) | 10.12.87 |

*მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი*

## ვილიარეალი

დაარსდა: 1923
სტადიონი: „ელ მადრიგალი" (26 000)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ვიერა (ურუ) | 07.03.83 |
| 13. დიეგო ლოპესი | 03.11.81 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. გონსალო როდრიგესი (არგ) | 10.04.84 |
| 3. ედმილსონი (ბრა) | 10.07.76 |
| 4. დიეგო გოდინი (ურუ) | 16.02.86 |
| 5. ხოან კაპდევილა | 03.02.78 |
| 12. პასკალ სიგანი (საფ) | 29.04.74 |
| 17. ხავი ვენტა | 13.12.75 |
| 18. ანხელი | 10.03.81 |
| 20. ფაბრისიო ფუენტესი (არგ) | 13.10.76 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 6. ხოსიკო | 06.01.75 |
| 7. რობერ პირესი (საფ) | 29.01.73 |
| 8. სანტი კასორლა | 13.12.84 |
| 10. კანი | 03.08.81 |
| 11. არიელ იბაგასა (არგ) | 27.10.76 |
| 14. მატიას ფერნანდესი (ჩილ) | 15.05.86 |
| 19. მარკოს სენა | 17.07.76 |
| 21. ბრუნო | 12.06.84 |
| 23. სებასტიან ეგურენი (ურუ) | 08.01.81 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. გილერმო ფრანკო (მექ) | 03.11.76 |
| 15. ნიჰათ ქავეჩი (თურ) | 23.11.79 |
| 16. ხოსება ლორენტე | 24.11.79 |
| 22. ჯუზეპე როსი (იტა) | 01.02.87 |
| 24. ჟოსმერ ალტიდორი (აშშ) | 06.11.89 |

*მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი*

## ბარსელონა

დაარსდა: 1899
სტადიონი: „კამპ ნოუ" (98 000)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ვალდესი | 14.01.82 |
| 13. ხოსე მანუელ პინტო | 15.11.75 |
| 25. ალბერტ ხორკერა | 03.03.79 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. მარტინ კასერესი (ურუ) | 07.04.87 |
| 3. ხერარდ პიკე | 02.02.87 |
| 4. რაფაელ მარკესი (მექ) | 13.02.79 |
| 5. კარლეს პუიოლი | 13.04.78 |
| 16. სილვინიო (ბრა) | 12.04.74 |
| 18. გაბრიელ მილიტო (არგ) | 07.09.80 |
| 20. დანიელ ალვეში (ბრა) | 06.05.83 |
| 22. ერიკ აბიდალი (საფ) | 11.07.79 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 6. ჩავი ერნანდესი | 25.01.80 |
| 8. ანდრეს ინიესტა | 11.05.84 |
| 10. ლეონარდო მესი (არგ) | 24.06.87 |
| 15. სეიდუ კეიტა (მალ) | 16.01.80 |
| 21. ალექსანდრ გლები (ბლრ) | 01.05.81 |
| 24. იაია ტურე (კ-დივ) | 13.05.83 |
| 28. სერხი ბუსკეტსი | 16.07.88 |
| 29. ვიქტორ სანჩესი | 08.09.87 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. ეიდურ გუდიონსენი (ისლ) | 15.09.78 |
| 9. სამუელ ეტოო (კამ) | 10.03.81 |
| 11. ბოიან კრკიჩი | 28.08.90 |
| 14. ტიერი ანრი (საფ) | 17.08.77 |
| 27. პედრიტო | 28.07.87 |
| 30. ვიქტორ ვასკესი | 20.01.87 |
| 31. ხეფრენი | 20.01.88 |

*მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა*

## ატლეტიკო

დაარსდა: 1903
სტადიონი: „ვისენტე კალდერონი" (56 142)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. გრეგორი კუპე (საფ) | 31.12.72 |
| 25. ლეო ფრანკო (არგ) | 20.05.77 |
| 27. ანხელ ბერნაბე | 11.08.87 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. გიურკას სეიტარიდისი (საბ) | 04.06.81 |
| 3. ანტონიო ლოპესი | 13.09.81 |
| 4. მარიანო პერნია | 04.05.77 |
| 15. ჯონი ჰეიტინგა (ჰოლ) | 15.11.83 |
| 18. ტომაშ იუფალუში (ჩეხ) | 24.03.78 |
| 21. ლუის პერეა (კოლ) | 30.01.79 |
| 22. პაბლო | 03.08.81 |
| 23. ხუან ვალერა | 21.12.84 |
| 28. ალვარო დომინგესი | 15.05.89 |
| 29. სესარ ორტისი | 30.01.89 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. ტიაგო მოტა (ბრა) | 28.08.82 |
| 8. რაულ გარსია | 11.07.86 |
| 11. მაქსი როდრიგესი (არგ) | 02.01.81 |
| 12. პაბლო ასუნსაო (ბრა) | 25.01.80 |
| 16. მანიშე (პორ) | 11.11.77 |
| 19. მიგელ დე ლა კუევასი | 19.06.86 |
| 24. იგნასიო კამაჩო | 04.05.90 |
| 30. ჯოშუა | 28.01.89 |
| 32. რუბენ პერესი | 26.04.89 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 7. დიეგო ფორლანი (ურუ) | 19.05.79 |
| 9. ლუის გარსია | 24.06.78 |
| 10. სერხიო აგუერო (არგ) | 02.06.88 |
| 14. ფლორან სინამა-პონგოლე (საფ) | 20.10.84 |
| 20. სიმაო საბროზა (პორ) | 31.10.79 |
| 31. რუბენ რამოსი | 31.01.89 |

*მწვრთნელი: ხავიერ აგირე*

## სევილია

დაარსდა: 1905
სტადიონი: „სანჩეს პისხუანი" (45 500)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეს პალოპი | 22.10.73 |
| 13. ხავი ვარასი | 10.09.82 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 2. ხავი ნავარო | 06.02.74 |
| 3. ივიცა დრაგუტინოვიჩი (სერ) | 13.11.75 |
| 4. სებასტიან სკილაჩი (საფ) | 11.08.80 |
| 14. ჟულიან ესკუდე (საფ) | 17.08.79 |
| 15. აკვილადო მოსკერა (კოლ) | 22.06.81 |
| 16. დავიდ პრიეტო | 02.01.83 |
| 18. ფერნანდო ნავარო | 25.06.82 |
| 23. ფედერიკო ფასიო (არგ) | 17.03.87 |
| 26. ხოსე ანხელ კრესპო | 09.02.87 |
| 27. კალა | 26.11.89 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 5. ალდო დუშერი (არგ) | 22.03.79 |
| 6. ადრიანო კორეია (ბრა) | 26.10.84 |
| 7. ხესუს ნავასი | 21.11.85 |
| 8. ენცო მარესკა (იტა) | 10.02.80 |
| 11. რენატო (ბრა) | 15.05.79 |
| 17. დიეგო კაპელი | 16.02.88 |
| 20. ტომ დე მული (ბელ) | 04.03.86 |
| 21. ლაუტარო აკოსტა (არგ) | 14.03.88 |
| 22. ნ'დრი რომარიკი (კ-დივ) | 04.06.83 |
| 24. აბდულაი კონკო (საფ) | 09.03.84 |
| 28. ემილიანო არმენტეროსი (არგ) | 18.01.86 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. არუნა კონე (კ-დივ) | 11.11.83 |
| 10. ლუიშ ფაბიანო (ბრა) | 08.11.80 |
| 12. ფრედერიკ კანუტე (საფ) | 09.02.77 |
| 19. ერნესტო ჩევანტონი (ურუ) | 12.08.80 |

*მწვრთნელი: მანოლო ხიმენესი*

## რასინგი

დაარსდა: 1913
სტადიონი: „ელ სარდინერო" (22 500)

**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. ფაბიო კოლტორტი (შვეიც) | 03.12.80 |
| 13. მარიო ფერნანდესი | 30.04.88 |
| 25. ხუან კალატაიუდი | 21.12.79 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 3. ორიოლი | 23.05.81 |
| 4. ესეკილ გარაი (არგ) | 10.10.86 |
| 5. კრისტიანი | 15.10.85 |
| 14. პაბლო პინილიოსი | 09.07.74 |
| 17. ლუის ფერნანდესი | 27.09.72 |
| 22. ხოსე მორატონი | 14.07.79 |
| 24. სესარ ნავასი | 14.02.80 |
| 29. ივან მარკანო | 23.06.87 |
| ზე ანტონიო (პორ) | 14.03.77 |
| ლასლო სეპსი (რუმ) | 06/06/1987 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 7. ხორხე ლოპესი | 19.09.78 |
| 8. გონსალო კოლსა | 05.04.79 |
| 15. ვიტოლო | 09.09.83 |
| 26. ლუისმა | 11.08.89 |
| დამიან ისმოდესი (პერ) | 10.03.89 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 9. მოჰამედ ჩიტე (კდრ) | 31.01.84 |
| 10. პედრო მუნიტისი | 19.06.75 |
| 11. ოსკარ სერანო | 30.09.81 |
- საქართველოში დაბრუნება პროტესტის ნიშნად კი არ გვსურდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ხალხს ბრძოლაში დავდგომოდით გვერდით. ჩვენს დელეგაციაში დიდი ნაწილი გორის რაიონიდან და კონფლიქტური ზონებიდან იყო და ოჯახებსა და ნათესავებზე ფიქრი და დარდი არ ასვენებდათ. თუმცა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს გარკვეული ვალდებულებები აქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან და ეს წესები ოლიმპიური ქარტიით არის დადასტურებული- მკაცრად დავისჯებოდით და ხანგრძლივი დროით არ მოგვეცემოდა ყველაზე მთავარ სპორტულ ფორუმში მონაწილეობის შესაძლებლობა. მსურს აღვნიშნო ბატონების - კახა გეწაძისა და გიგა ბოკერიას დამსახურება. კახა გეწაძე ბატონ გიგას დაუკავშირდა და შექმნილი ვითარება გააცნო. თავის მხრივ, გიგა ბოკერიამ შეძლო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ამ საკითხზე საუბარი, რის შემდეგაც მოგვმართა პრეზიდენტმა პეკინში დარჩენის თხოვნით - თქვენ მანდ იბრძოლეთ, ჩვენ კი ქვეყნის გადარჩენისთვის ვიბრძოლებთ და სამშობლოს არ დაგიკარგავთო. მადლობა კახასაც, გიგასაც და პრეზიდენტსაც, რომ ქართველ სპორტსმენებს თავის გამოჩენის საშუალება მიეცათ.

**- თქვენ ბრძოლა მართლაც წამოიწყეთ - საპროტესტო აქციებს ვგულისხმობ...**

- ოლიმპიური ქარტიით აკრძალულია ყოველგვარი საპროტესტო აქცია, მაგრამ იმდენად დიდი იყო თანაგრძნობა ყველას მხრიდან, რომ თავს უფლება მაინც მივეცით და საპროტესტო აქციებსაც ვმართავდით. თუმცა უნდა შევნიშნო, რომ ოლიმპიური დევიზის ფორმატიდან არ გამოვსულვართ: მშვიდობა მთელს მსოფლიოში; არა - აგრესიას! გამოხმაურება უდიდესი იყო: მსოფლიოს მოწინავე საინფორმაციო არხები - BBC, CNN, როიტერი და სხვები... ჩინური მასმედიაც ყველაფერს აშუქებდა და საკმაოდ რეზონანსული გამოგვივიდა ჩანაფიქრი. ვფიქრობ, რომ საინფორმაციო ომი პირწმინდად მოვუგეთ რუსებს.

**- საბედნიეროდ, სპორტულ არენებზეც დავჩაგრეთ - სადაც შევხვდით - დავამარცხეთ. ჩვენებურთა წარმატებაზე კი თქვით, მაგრამ თუ იყო მაინც შესაძლებელი, რამდენიმე მედალი კიდევ მოგვეპოვებინა?**

- ვიმეორებ, რომ არა საქართველოში დაწყებული საომარი მოქმედებები, ბევრად მეტს მივაღწევდით. ისეთი ათლეტები, როგორებიც კედელაშვილი, ნოზაძე, ბედინაძე და სხვები არიან, მედლის კი არა, ოქროს პრეტენდენტები იყვნენ. რამდენიმეს ერთი ნაბიჯი დააკლდა ბრინჯაომდე, ერთი-ორიც ექვსეულში მოხვდა და ნამდვილად მაქვს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება. მინდა, ყველა მათგანს დიდი მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით ჩვენს ბრაზილიელ ქართველებს - როგორც ქალთა, ისე ვაჟთა წყვილებს. მართალია, „საქა-რთველო" მერვედფინალში დამარცხდა, მაგრამ ჯგუფში რუსთა ძლევით უდიდესი სიხარული მოგვანიჭეს. უამრავი ადამიანი და ჟურნალისტი ადევნებდა ამ შეხვედრას თვალს და ყველა გვილოცავდა. რუსებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს - ჩვენ ქართველებთან კი არა, ბრაზილიელებთან წავაგეთო. ჩრდილოელებმა „საქა-რთველოსგან" ღირსეული პასუხი მიიღეს: „ჩვენ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ. ეს ქვეყანა ჩვენზე ზრუნავს, გვპატრონობს და ყოველმხრივ ხელს გვიწყობს, ამიტომ თავს ნამდვილ ქართველებად მივიჩნევთ". ასეთმა პასუხმა დამსწრეებიც კი აღაფრთოვანა და აპლოდისმენტები გაუმართეს ქართველ ფრენბურთელებს! ულრმესი მადლობა „გეორ-გიასაც" - რაც მათ გააკეთეს, წარმოუდგენელი იყო: ოთხეულში გასვლა გმირობის ტოლფასია! მართალია, ნახევარფინალიც წააგეს მომავალ ჩემპიონებთან და მესამე ადგილისთვის ბრძოლაც, მაგრამ ყველა ევროპელს აჯობეს - ანუ ევროპაში პირველები იყვნენ!

**- თქვენ ძალოსანი ხართ და ცხადია, ვერაფრით ავუვლით გვერდს ძალოსანთა შეჯიბრებას. მთავარით დავიწყოთ: არსენ კასაბიევის მეოთხე ადგილმა დაგაკმაყოფილათ თუ არა?**

- ცხადია, არა - წინააღმდეგ შემთხვევაში, ოქროსთვის არ ვიბრძოლებდით; მაგრამ ალბათ, ჯობდა ვერცხლისთვის გვებრძოლა. ოქრო კარგია, თუმცა გარანტირებული ჯილდო მაინც სხვაა. სამწუხაროდ, ასეთ გადაწყვეტილებამდე რიგ ფაქტორთა გათვალისწინებით მივედით. თავად არსენის სურვილი იყო - მიმიშვით ოქროზეო, ითხოვა. მეც და ვანო გრიქუროვმაც ვითარება რეალურად შევაფასეთ, ვცადეთ გადაგვეთქმევინებინა და თითქოს შევძელით კიდეც - 228 ჩავწერეთ შეკვეთის ფურცელში; მაგრამ არსენი ემოციური ბიჭია და მაინც ვერ მოერია თავს - დაიჟინა - უნდა მივიდეო. მან ისე მსუბუქად ასწია 223 კილო, რომ ეგონა 231-საც დაძლევდა. ვერ დავუშალეთ, რადგანაც ამ დროს, შესაძლოა, სამუდამოდ გაუტეხო ძალოსანს გული - მუდამ ემახსოვრება, რომ ოქროს შანსი არ მიეცი...

**- სამწუხაროდ, ვერ დაძლია, მაგრამ 228 კილოც რომ სათუო იყო? ორი თვის წინათ, საქართველოს ჩემპიონატზე, 227 კგ მხოლოდ მკერდზე აილო და გაითიშა...**

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ 223 ძალიან იოლად აკრა და დარწმუნებული ვიყავი, რომ 228-საც მოერეოდა. სხვათა შორის, 227-იც ჰყოფნიდა ვერცხლისთვის. აქ საქმე სხვა რამეშიც არის: შესაძლოა, 215 კგ-ით არ უნდა დაეწყო აკვრა და 220-ზე მისულიყო. მაგრამ 220 ძალიან დიდი წონაა და შეჯიბრების რიტმში შესვლა ურთულესია. ამიტომ ვერ გავრისკეთ. ძალიან შეგვიშალა ხელი იმან, რომ აცტაცში 178 კგ ვერ დაიმორჩილა. 178 რომ აეტაცა არსენს, აკვრაში ბევრად გაუიოლდებოდა საქმე.

**- 215-ით დაწყება, ყველა შემთხვევაში, საეჭვოდ ჩანს - საპრიზოსთვის 220-ზე მეტს რომ უნდა მორეოდა, ნათელი იყო. 215-ის შემდეგ კი ძალიან დიდი პაუზა უწევდა, რაც „გაცივებასა" და რიტმიდან ამოვარდნას ნიშნავს. ეს ფაქტორი არ იყო მნიშვნელოვანი?**

- ცხადია, იყო, მაგრამ ძალიან ბევრი ცდა გააფუჭეს მოწინააღმდეგეებმაც და ამან წაიღო დიდი დრო. მართალია, არსენმა მეორე ცდა შესანიშნავად დაძლია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამან მესამე ცდაზე უარყოფითად იმოქმედა... სხვათა შორის, შეჯიბრების დასრულების შემდეგ, ცივ გონებაზე კი თქვა - ჯობდა, ვერცხლისთვის მებრძოლაო. ჩვენც დაგვენანა, მაგრამ ამით არსენმა კარგი გამოცდილება მიიღო და მომავალში, ეჭვი არაა, დიდ წარმატებას მიაღწევს. და ერთიც: აქამდე არ მითქვამს, მაგრამ ახლა გაგიმხელთ - არსენზე ოსთა მხრიდან გარკვეული ზეწოლა იყო - ურეკავდნენ და საქართველოს სახელით მონაწილეობას უშლიდნენ. თავად არაფერს იმჩნევდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვხვდებოდით, თუ რა ქარ-ცეცხლი ტრიალებდა მის გულში. თავს ვერ დავდებ, მაგრამ ასეთი ზეწოლა რომ არა, შესაძლო იყო, არსენს ოქროც აეღო.

**- ალბერტ კუზილოვის შედეგიც საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ გაგვაკვირვა რაულ ცირეკიძემ...**

- რაულს დიდ შედეგს ისედაც არ ვუგეგმავდით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენდა და ოლიმპიური გამოცდილება მომავლისთვის გამოადგებოდა. სამწუხაროდ, მან ეს ვერ შეძლო - წელიც იტკინა და აკვრაში აღარც გამოსულა. იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო ყურადღებით მოეკიდება საქმეს.

ალბერტზე კი კარგის მეტი არაფერი მეთქმის. მან თითქმის სრულად წარმოაჩინა შესაძლებლობები. ბოლო მისვლაზე კი რაც უნდა აეწია, ვერაფერს შეცვლიდა - მეექვსე ადგილზე რჩებოდა. ეს მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, თორემ 240 კილო რომ დაეძლია, ჩემპიონი გახდებოდა. ალბერტიც ძალიან აზარტულია და კასაბიევის დარად მოითხოვა მაქსიმალურ წონაზე - 240-ზე მიმიშვითო. ეს ნამდვილი უტოპია იყო და უარი ვუთხარით. მასაც, ისევე როგორც კასაბიევს, დიდი მომავალი აქვს და ლონდონის ოლიმპიადაზე მედლებისთვის იბრძოლებს.

საერთო ჯამში, მიზანი და ამოცანები შესრულებულია - პეკინი უკეთესი იყო, ვიდრე - ათენი. იმედი მაქვს, ლონდონი კიდევ უკეთესი იქნება. და ბოლოს: არ შემიძლია არ აღვნიშნო ქართული დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრის ერთსულოვნება და თანადგომა. ნებისმიერი პრობლემა სწრაფად და ხარისხიანად წყდებოდა; მეგობრული ატმოსფერო სუფევდა, რაც ერთი წამითაც არ დარღვეულა. ცხადია, ასეთი ვითარება არ შეიქმნებოდა, ხელმძღვანელ პირთა კომპეტენცია რომ არ ყოფილიყო მაღალი. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ბატონებს - გოგი თოფაძეს, ნიკა ვაჩეიშვილს, დავით ნამგალაურს, კახა გეწაძეს, ემზარ ზენაიშვილს, გია გალდავას, დავით გობეჯიშვილს - ქართული სპორტის ყველა ფრთა ერთად იყო და იმედია, ერთადვე ვიბრძოლებთ მომავალი გამარჯვებებისთვის.

**ზვიად შათირიშვილი**

***P.S. დღეს, 30 აგვისტოს, გიორგი ასანიძეს დაბადებიდან 35 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ იუბილეს და ვუსურვებთ, ქართული სპორტის მრავალ გამარჯვებათა თანამონაწილედ გვეხილოს დიდი ხნის განმავლობაში!***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ბოიკოტი

# რუსებთან ჭიდაობა არც ხალიჩაზე გვინდა

ჭიდაობაში ვეტერან სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირს ქ. პერმი 28-29 სექტემბერს უმასპინძლებს. ტურნირს ყოველთვის ამშვენებდნენ ქართველი ფალავნები, მაგრამ ამჯერად ასე აღარ იქნება. მიზეზი რუსეთსა და საქართველოს შორის უაღრესად გამწვავებული ურთიერთობაა.

„ბოლო ერთი კვირაა რუსეთის ფედერაცია პირდაპირ გვემუდარება, მივიღოთ მონაწილეობა ტურნირში და გავუგზავნოთ სათანადო წერილობითი თანხმობა. ცხადია, ეს არ არის ადვილად გადასაწყვეტი საკითხი. ამიტომ 29 აგვისტოს შეიკრიბა ჩვენი ფედერაციის სხდომა, რომელმაც ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება - საქართველოს ვეტერანი მოჭიდავეები რუსეთის ქ. პერმში საასპარეზოდ არ გაემგზავრებიან", - თქვა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა** „ლელოსთან" საუბარში.

**თენგიზ თომაშვილი**

ჩოგბურთი

# ოკუპანტებმა ჩოგბურთიც ჩაშალეს



რუსულმა ოკუპაციამ საქართველოში უკვე ჩაშალა ბევრი სპორტული ღონისძიება, მათი დიდი ნაწილი ან გადაიდო, ან ნეიტრალურ მოედნებზე გაიმართება. ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს თბილისის ნაცვლად გერმანიაში გამართავენ, გადაიდო ეროვნული ჩემპიონატის სტარტი, კალათბურთელებიც ყველა შეხვედრას სტუმრად ითამაშებენ. გუშინ ცნობილი გახდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) გადაწყვეტილებაც – სექტემბერში თბილისსა და ბათუმში გასამართი ორი საერთაშორისო ტურნირი ქალ ჩოგბურთელთა შორის გაუქმებულია.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ITF-ისთან შეთანხმებით ჯერ 15-20 სექტემბრისთვის გადადო თბილისის „ბორჯომის თასი" (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) და 22-28 სექტემბრისთვის „ბათუმის ღია პირველობა" (25 ათასი დოლარი). მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში სიტუაცია ITF-ის აზრით, არასათანადოდ დაწყნარდა, რომ ის უსაფრთხო იყოს ჩოგბურთელებისთვის. ამიტომ წლევანდელი კალენდრის ორივე ტურნირი გაუქმებულია. სამწუხაროა, რადგან თბილისისა და ბათუმის ტურნირები შესანიშნავი შანსია იმ ქართველი ჩოგბურთელებისთვის, რომლებიც საერთაშორისო ტურნირებზე სიარულს ხშირად ვერ ახერხებენ. სხვათა შორის, გაუქმდა ბაქოს საერთაშორისო ტურნირიც (10 ათასი დოლარი), რომელიც ორშაბათიდან უნდა დაწყებულიყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**"ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგას, ჟურნალ „ოლიმპიელის" რედაქტორ პაატა ნაცვლიშვილს დის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს ამავე კომიტეტის წევრს, ჟურნალ „ოლიმპიელის" რედაქტორ პაატა ნაცვლიშვილს დის გარდაცვალების გამო.**

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. U-19

# სოპოტში ჩელენჯ კაპისთვის

20 სექტემბრიდან პოლონეთის ზღვისპირა ქალაქ სოპოტში FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა შორის. საქართველოს ნაკრები, რომელსაც **დავით ჩავლეიშვილი** და **დიმა ფულარია** წვრთნიან, შეჯიბრებისთვის გაფართოებული შემადგენლობით ემზადება. სოპოტის ტურნირი, ამავდროულად, მომავალ წელს ოცწლამდელთა შორის გასამართი „ჩელენჯ ტროფის" შესარჩევი ტურნირიცაა.

ქვეყანაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ვერ მოახერხა შავი ზღვის სანაპიროზე დაგეგმილი შეკრების გამართვა. სანაცვლოდ ახალგაზრდა მორაგბეები სისტემატურად გააგრძელებენ მზადებას თბილისში, სადაც რამდენიმე საწვრთნელ მატჩს გამართავენ უმაღლესი ლიგის გუნდებთან. სოპოტში კი, ასპარეზობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაემგზავრებიან და მზადებას ადგილზე განაგრძობენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები პირველ შეხვედრას ჰოლანდიელ თანატოლებთან გამართავს. მათ გარდა ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ: რუმინეთის, ბელგიის, რუსეთის, პოლონეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები. ამჟამად მწვრთნელების განკარგულებაში 32 მორაგბეა, რომელთაგან საბოლოოდ 26 საუკეთესო უნდა შეირჩეს.



**საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები:**

პირველი ხაზი: გიორგი ცირეკიძე (არმაზი), ვასილ კაკოვინი (უნივერსიტეტი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), თორნიკე ლომიძე (აია), დავით ბარბაქაძე (ყოჩები), გიორგი გაბელია (ლელო), მიხეილ ნარიაშვილი (აია), ბექა ნიკოლაიშვილი (ყოჩები).

მეორე ხაზი: ერეკლე მეტრეველი (ყოჩები), დიმიტრი გოგოლაძე (დევები), ირაკლი რევიშვილი (აია).

მესამე ხაზი: მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია), თენგიზ მარგველაშვილი (ყოჩები), ვასილ კვერნაძე (ლელო), ლადო გუნიავა (უნივერსიტეტი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო).

№9: გიორგი ჭინჭარაული (ლელო), შალვა მახარაშვილი (ყოჩები), ლევან გოგია (ლელო).

№10: გიგი გაბუნია (არმაზი), ზურაბ გოგლიჩიძე (აია), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

№12-13: გიგა კორკელია (ლელო), გიორგი ლომინაძე (ლელო), დავით გრძელიშვილი (ყოჩები),

№11-14: სანდრო ინაშვილი (ყოჩები), რატი ხუციშვილი (ლელო), გიორგი ნოზაძე (ლოკომოტივი), გიორგი სვანიძე (აიეტი).

№15: გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), გიგა მშვენიერაძე (აია).

**20 სექტემბერი**

მეოთხედფინალი. საქართველო-ჰოლანდია, რუმინეთი-ბელგია, რუსეთი-პოლონეთი, ესპანეთი-პორტუგალია.

**24 სექტემბერი**

ნახევარფინალი

**28 სექტემბერი**

ფინალი

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# გეორ-გია ნორვეგიას გამოეთხოვა



გია


საქა

**ნორვეგიის** ქალაქ კრისტიანსანდში, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ასპარეზობა დაასრულა ვაჟთა შორის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ.** დღის პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-17 ნომრად განთესილი პოლონური დუეტი დაამარცხეს სამ სეტში 12:21, 22:20, 15:11. თუმცა მერე მეტოქედ გეორ-გიას მათთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე, ზელანდიური დუეტი **ლოჰედი-პიტმანი** ერგო. კუნძულელებთან ჩვენ ფრენბურთელებს აქამდე გამართული ყველა შეხვედრა ნაგებული აქვთ. გეორ-გიამ მათთან დაპირისპირებაში ამჯერადაც ვერაფერი გააწყო და ორ სეტში დამარცხდა 23:25, 22:24.

გეორ-გიამ საბოლოოდ ტურნირზე მე-13 ადგილი დაიკავა, რისთვისაც 180 სარეიტინგო ქულა და 3 900 ამერიკული დოლარი ერგო.

ტურნირს გამოეთიშა **საქა-რთველოც**, თუმცა გეორ-გიასგან განსხვავებით, ჩვენი ქალები ოდნავ წინ წავიდნენ. მათ მეექვსე ადგილი დაიკავეს. შედეგად 360 ქულა და 8 500 ამერიკული დოლარი მიიღეს. საქა-რთველომ დღის პირველ შეხვედრაში ჰოლანდიური წყვილი **ვან იერსელი** და **ვესელინკი** დაამარცხა სამ სეტში 14:21, 21:15, 15:13.

შემდეგი მეტოქე კი ფინელი დები **ნისტრიომები** იყვნენ, რომლებსაც საქა-რთველო ორ სეტში გაუსწორდა 21:17, 23:21. სამაგიეროდ, ჩვენმა ფრენბურთელებმა ვერაფერი გააწყვეს კიდევ ერთი დების, ბრაზილიელი **მარია კლარა** და **კაროლინა სალგადოების** წინააღმდეგ. შეხვედრა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ ორ სეტში დასრულდა 17:21, 11:21.

მორიგ ეტაპზე საქა-რთველო 2-7 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ მიშლოვიცეში იასპარეზებს. გეორ-გიას კი იმავე პერიოდში ესპანური მალიორკა უმასპინძლებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



აშშ-ის ღია პირველობა

# ანამ კუანთან წააგო

ამერიკის ღია პირველობაზე ნამდვილი სენსაცია მოხდა. ტურნირის პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** მეორე წრეში რეიტინგის 188-ე ნომერთან წააგო და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, რომ სერბმა კლასიფიკაციაში პირველი ადგილი შეინარჩუნოს.

ჩვენ უკვე ვწერდით რომ ამ ტურნირის წინ ერთბაშად ექვს ჩოგბურთელს ჰქონდა WTA-ის ტურში გალიდერების შანსი. მაგრამ ახლა ამ რბოლას ორი მოთამაშე ჩამოსცილდა: **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსი შემდეგ წრეში გავიდა, მაგრამ ეს სხვა კონკურენტებმაც გააკეთეს და კუზნეცოვა მათ გასწრებას ვერ შეძლებს) და ივანოვიჩი.

ანამ უცნაურ მეტოქესთან წააგო. ფრანგი **ჟული კუანი** ივანოვიჩზე ოთხი წლით უფროსია, მაგრამ მხოლოდ ახლა მოახერხა კარიერაში „დიდი სლემის“ პირველ ტურნირზე თამაში.

მატჩის შემდეგ სერბმა განაცხადა, რომ გვარიანად ნერვიულობდა, რადგან საერთოდ არ იცნობდა მეტოქის თამაშს: *„არ ვიცოდი მისგან რა ხიფათი მელოდა. გარდა იმისა, რომ ნელ ტემპში ვთამაშობდი, მეტოქე ბრწყინვალედ მოქმედებდა: შესანიშნავად აწვდიდა და მუდმივად ძლიერ დარტყმებს გზავნიდა კორტის მეორე ნახევარზე“.*

ასეთი თამაშის წყალობით კუანმა პირველი და მესამე სეტები ერთნაირი ანგარიშით - 6:3 მოიგო. რაც მთავარია, ფრანგი არ ელოდებოდა მეტოქის შეცდომებს და აქტიური თამაშით აგროვებდა ქულებს. ივანოვიჩს ჯერ კიდევ წინა წრეში რუს **დუშევინასთან** შეეტყო, რომ ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა და ეს კარგად გამოიყენა ტურნირის მთავარმა სენსაციამ.

*„რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ პირველ ჩოგანთან მატჩში გამარჯვებული დავტოვებდი კორტს. ეს ფანტასტიკის სფეროდან იყო, მაგრამ მაინც მოხდა“,* - აღფრთოვანებას ვერ მალავდა კუანი, რომელმაც WTA-ის ტურის რეკორდი დაამყარა. მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციამ საკუთარი რეიტინგი შემოიღო, პირველი ჩოგანი არასოდეს დაუმარცხებია კლასიფიკაციაში ასე დაბლა მყოფ მოთამაშეს.

ახლა კუანს 1/16 ფინალში თანამემამულე **ამელი მორესმოსთან** უწევს შეხვედრა. სხვათა შორის, ბავშვობაში ეს ჩოგბურთელები ერთსა და იმავე მწვრთნელთან ვარჯიშობდნენ.

ანას მდევრებმა თავიანთი მატჩები მოიგეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ დები **უილიამსები**, რომელმაც თავიანთ მეტოქეებს ჯამში 5 გეიმი დაუთმეს. **ვენუსმა დე ლოს რიოსი** 6:0, 6:3 დაამარცხა, **სერენამ** კი რუსი **ელენა ვესნინა** გაანადგურა - 6:1, 6:1.

გუშინ ქალებმა 1/16 ფინალში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. პირველი მერვედფინალისტი გახდა სერბი **ელენა იანკოვიჩი** - ის უიმბლდონის ნახევარფინალისტს, ჩინელ **ჟიე ჟენგს** ეთამაშებოდა. ამ მატჩის დაძაბულობის ხარისხზე ბოლო გეიმის მიმდინარეობაც მეტყველებს. მეორე სეტის მე-12 გეიმში მეტოქეებმა 28 (!) ქულა გაითამაშეს, 11-ჯერ დაფიქსირდა „თანაბარი“ და იანკოვიჩმა მეხუთე მატჩ-პოინტზე შეძლო ჩინელი ჩოგბურთელის დამარცხება - 7:5, 7:5.

### კაცები

#### II წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რაილერ დე ჰარტი (აშშ) 6:1, 6:2, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 25) 2:6, 6:3, 6:4, 3:0 კოლშრაიბერის უარი; **სემ კუერი (აშშ)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 7:6 (6), 6:4, 4:6, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 14)**-ფლორან სერა (იტა) 7:6 (5), 6:4, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-სტივ დარცისი (ბელ) 4:6, 6:3, 1:0 დარცისის უარი; **გაელ მონფილსი (საფ, 32)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:2, 6:3, 3:6, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 7)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:2, 6:4, 6:2; **მარტინ დელ პოტრო (არგ, 17)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 4:6, 6:1, 7:5, 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ივო მინარი (ჩეხ) 6:7 (2), 3:6, 6:4, 6:3, 6:2; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:6 (6), 6:4, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:4, 6:4, 7:6 (2); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 26)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:7 (2), 6:3, 6:4, 6:2; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-ტომი ჰაასი (გერ) 2:6, 2:6, 7:6 (5), 6:3, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ტიაგო ალვეში (ბრა) 6:3, 7:5, 6:4.

### ქალები

#### II წრე

**ჟული კუანი (საფ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 1) 6:3, 4:6, 6:3; **ამელი მორესმო (საფ, 32)**-კაია კანეპი (ესტ) 2:6, 6:4, 6:0; **სერენა უილიამსი (აშშ, 4)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:1.

#### 1/16 ფინალი

**ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 6:3, 6:4; **ნა ლი (ჩინ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:1, 4:6, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 7:5, 7:5.

კრივი

# დე ლა ჰოია დეკემბერში იჩხუბებს





ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ამერიკელმა **ოსკარ დე ლა ჰოიამ** წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები მჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონთან, ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან.** ამ მოკრივეების ბრძოლა 6 დეკემბერს ლას ვეგასში გაიმართება. ამის შემდეგ, ოსკარ დე ლა ჰოია თავის ბრწყინვალე კარიერას დაასრულებს.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების დროს მხარეებს შორის უთანხმოება ჰონორარის გაყოფამ გამოიწვია. დე ლა ჰოია მთელი საპრიზო ფონდის 70 პროცენტს ითხოვდა, პაკიაო კი მხოლოდ 40 პროცენტის მიღებაზე იყო თანახმა. საბოლოოდ, თანხა ასე გაიყო: 65 პროცენტი ოსკარს და 35 პროცენტი - მენის.

დე ლა ჰოიამ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კარიერის უკანასკნელ ბრძოლაში სწორედ ფილიპინელ მოკრივეს შეხვდება.

*„პაკიაოსთან დაპირისპირება პრინციპულ ხასიათს ატარებს. მენის მექსიკელების მკვლელს უწოდებენ, რადგან ამ ქვეყნის მოკრივეები ბევრჯერ დაუმარცხებია. მექსიკა კი ჩემი მშობლების სამშობლოა. ამიტომაც ვალდებული ვარ, რინგზე გავიდე და მენის დამარცხებით ყველა მექსიკელისთვის ვიძიო შური“,* - განაცხადა დე ლა ჰოიამ.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| უზბეკეთი-ჩრ. კორეა | 0:0 |
| საემიროები-ბაჰრეინი | 2:3 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| კარლსრუე-კიოლნი | 0:2 |

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| დუისბურგი-აუგსბურგი | 2:0 |
| ინგოლშტადტი-კაიზერი | 1:3 |
| მაინცი-ოსნაბრიუკი | 4:2 |

#### III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ბაიერნი A-კარლ ცაისი | 2:1 |

#### საფრანგეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აიაჩო-ვანი | 4:0 |
| ამიენი-რეიმსი | 2:0 |
| ანჟერსი-ბრესტი | 1:2 |
| ბულონი-დიჟონი | 3:0 |
| გინგამი-სედანი | 1:1 |
| ტური-ბასტია | 0:1 |
| ლანსი-კლერმონი | 2:1 |
| სტრასბური-შატორუ | 2:1 |
| ტრუა-ნიმი | 0:1 |

#### ჰოლანდია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აპელდორნი-ექსელსიორი | 2:3 |
| კამბური-ესენი | 6:2 |
| დენ ბოში-მაასტრიხტი | 1:3 |
| დორდრეხტი-ვაალვიკი | 0:1 |
| იგლზი-ომნივორლდი | 1:0 |
| ჰელმონდი-ეინდჰოვენი | 4:3 |
| ვეენდამი-როსენდალი | 3:2 |
| ვენლო-ცვოლე | 1:1 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| ტუბეკე-ბრიუგე | 1:4 |

#### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ფერეირა | 2:2 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-ალტახი | 3:2 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აუსტრია A-გრატკორნი | 2:1 |
| ადმირა-ტიროლი | 1:2 |
| ზალცბურგი A-ლეოგენი | 1:1 |
| სტ. პოლტენი-ვინერი | 1:3 |
| გრიოდიგი-ფოკლაბრუკი | 1:1 |

#### შვეიცარია

##### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| კონკორდია-ტუნი | 1:3 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-ტრაბზონი | 1:2 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბრეი-დუბლინი | 2:1 |
| დერი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| შემროკი-კორკი | 3:0 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ეირბასი-ქერნარფონი | 4:3 |
| კარმარტენი-ნითი | 5:2 |
| ტნს-პრესტატინი | 2:0 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ხიმკი-შინიკი | 0:0 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ენერგია-მეტალი | 2:1 |
| ზვეზდა-დინამო (ბარ) | 5:1 |
| ალანია-სკა (რ) | 2:1 |
| კამაზ-ნოსტა | 0:0 |
| მაშუკი-სალუტი | 2:2 |
| ვოლგა-ვიტიაზი | 0:2 |
| დინამო (ბრ)-ტორპედო | 0:1 |
| როსტოვი-ბალტიკა | 1:0 |
| ჩერნომორეცი-სიბირი | 1:2 |
| ყუბანი-ურალი | 0:0 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| ლვოვი-არსენალი | 0:1 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-ლკს | 0:2 |
| პოლონია-შლიონსკი | 3:0 |

#### სლოვენია

| | |
|---|---|
| ნოვა გორიცა-პუბლიკუმი | 2:1 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-მტკ | 3:1 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-ოტოპენი | 2:0 |
| არჯესი-გაზ მეთანი | 2:0 |
| კლუჟი-პოლიტეხნიკა | 0:0 |

## TV სპორტი

### 30 აგვისტო. შაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-კიოლნი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-პორტსმუთი (LIVE).
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი (LIVE).
22:25 FOOTBALL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-სოშო (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბოხუმი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 პეკინი 2008. სინქრონული ცურვა.
09:00 პეკინი 2008. თანამედროვე ხუთჭიდი. კაცები.
13:00 სპორტის სამყარო.
13:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. სუპერფინალი (LIVE).
15:10 სპორტკლუბი.
15:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
15:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლრუე-კიოლნი.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-პორტსმუთი (LIVE).
20:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი (LIVE).
00:20 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. WBA-ს ვერსია. ნიკოლაი ვალუევი-ჯონ რუისი (LIVE).
02:55 პეკინი 2008. თანამედროვე ხუთჭიდი. კაცები.
05:55 სპორტის სამყარო.
06:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

#### EUROSPORT

05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. V დღე (LIVE).
07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. V დღე.
10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
11:15 ფეხბურთი. უეფას სუპერთასი. მანჩესტერ იუნაიტედი-ზენიტი.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. ქალები. 1/2 ფინალი. ნორვეგია.
14:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
14:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. გერმანია (LIVE).
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. I ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. VI დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. VI დღე (LIVE).

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
12:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრემონი. კანადა.
12:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. გერმანია (LIVE).
13:30 ფეხბურთი. უეფას სუპერთასი. მანჩესტერ იუნაიტედი-ზენიტი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. გერმანია (LIVE).
15:45 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. V დღე.
16:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. 1/2 ფინალი (LIVE).
19:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14 . II ტური (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. გერმანია.
21:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი. კვალიფიკაცია.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. 1/2 ფინალი (LIVE).
01:45 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.

### 31 აგვისტო. კვირა

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალიორკა.
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-სოშო.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი (LIVE).
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი (LIVE).
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ლიონი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლრუე-კიოლნი.
08:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ბლექბერნი.
10:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი.
12:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-ნაუტიკო.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. სუპერფინალი (LIVE).
15:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა (LIVE).
20:55 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
22:00 სპორტის სამყარო.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი (LIVE).
00:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ლივერპული.
02:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი.
04:00 სპორტდოსიე. კრიკეტი.
04:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-ნაუტიკო.
06:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

#### EUROSPORT

05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. VI დღე (LIVE).
07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. VI დღე.
10:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გერმანია (LIVE).
10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი. 125 cc. (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი. 250 cc. (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. გერმანია.
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. II ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 ავტომოტორსპორტი. ტელეჟურნალი.
19:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. VII დღე (LIVE).
23:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ფინალი. ბელფასტი.
01:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ლია პირველობა. VII დღე (LIVE).

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
12:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი. კვალიფიკაცია.
13:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. გერმანია.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. გერმანია (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ბოსნია.
14:45 ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. II რბოლა. გერმანია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. გერმანია (LIVE).
16:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. პორტუგალია.
17:00 ველოსპორტი. პროტურის სერია. ბენილუქსის ტური. IV ეტაპი.
18:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. მე-3 ადგილისთვის. პორტუგალია.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ირლანდია.
19:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. ფინალი. პორტუგალია (LIVE).
20:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ირლანდია.
21:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
21:30 რალი. IRC-ს ახალი სერია. ჩეხეთი.
22:00 სუპერმოტო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ავსტრია.
22:30 სერფინგი. ევროტური. საფრანგეთი.
22:45 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
23:00 მულტისპორტი.
23:30 ფეხბურთი. უეფას სუპერთასი. მანჩესტერ იუნაიტედი-ზენიტი.
00:00 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
02:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. ჩეხეთი.
02:15 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
04:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფილ ჰილი გარდაიცვალა

## დიდ ცირკს პირველი ამერიკელი ჩემპიონი გამოაკლდა



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

**ფილ ჰილი** პირველი ამერიკელია, ვინც ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ლე მანის 24-საათიანი რბოლა მოიგო. ლეგენდარული ავტომრბოლი ხუთშაბათს პარკინსონის დაავადებით გარდაიცვალა. ის 81 წლის იყო.

*„ძალიან სამწუხარო ამბავია. „ფერარი“ გლოვობს ამ შესანიშნავი ადამიანის დაღუპვას. ეს იყო ჩემპიონი, რომელმაც ჩვენი გუნდისთვის ძალიან ბევრი გააკეთა - „ფერარის“ მანქანებით ლე მანზე გაიმარჯვა და ფორმულა 1-ის პირველი ამერიკელი ჩემპიონიც გახდა. წინა წლებში ხშირი ურთიერთობა გვქონდა და მე ძალიან დამაკლდება მისი საინტერესო საუბრები“*, - თქვა ამ სამწუხარო ამბის შემდეგ „ფერარის“ პრეზიდენტმა **ლუკა დი მონტეძემოლომ.**

■ ■ ■

ერთნი ამბობენ, რომ ეს მშობლების ნებართვის გარეშე მოხდა, მეორენი პირიქით - მშობლებს დასტური ჰქონდათ მიცემული, მაგრამ ფაქტი ყველასთვის ცნობილია: ცხრა წლის ფილი მამის Oldsmobile-ის მართვაში გაერკვია და სანტა მონიკას გზას დაადგა. როცა სრულწლოვანი გახდა, საკლუბო ჩემპიონატებში მიაღწია წარმატებას და ეპიზოდურად ევროპაში მოგზაურობაც დაიწყო, სადაც კერძო „იაგუარებითა“ და „ფერარებით“ ასპარეზობდა. სწორედ ამ დროს მიიქცია სკუდერიას ყურადღება და 1956 წელს იტალიური გუნდის წევრი გახდა.

1958 წელს ჰილმა „ფერარის“ ბოლიდით ლე მანის 24-საათიანი რბოლა მოიგო, ხოლო **ლუიჯი მუსოსა** და **პიტერ კოლინზის** დაღუპვის შემდეგ, ფორმულა 1-ში ჰქონდა დებიუტი, სადაც 4 გრანპრიში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ პოდიუმზე ავიდა. მომდევნო წელს ფილმა პირველი გამარჯვება იზეიმა - მონცაში პირველი პოზიციიდან აიღო სტარტი და კონკურენტებს ფინიშზე ორწუთ-ნახევარი მოუგო. სეზონის შედეგების მიხედვით მეოთხე ადგილი დაიკავა. შემდეგ იყო კიდევ ერთი ბრძოლა Cooper-Climax-სთან, რასაც რეგლამენტის შეცვლა მოჰყვა. ახალ დროებას ყველაზე უკეთ ალღო „ფერარიმ“ აუღო.

1961 წლის სეზონის პირველი რბოლა **სტირლინგ მოსმა** (Lotus 18) მოიგო, შემდეგ კი **ფონ ტრიპსმა** და ჰილმა არავის მისცეს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩარევის შანსი. Ferrari 156 შეუდარებელი იყო: შვიდ ეტაპზე ექვსი პოული და ხუთი გამარჯვება. ბოლოსწინა ეტაპისთვის (იტალიის გრანპრი) ფონ ტრიპსს საერთო ჩათვლაში უპირატესობა ჰქონდა და სტარტიც პირველი ადგილიდან აიღო, მაგრამ მეორე წრეზე **ჯიმ კლარკთან** შეჯახებისას დაიღუპა. ჰილმა ის რბოლა მოიგო და ფორმულა 1-ის პირველი ამერიკელი ჩემპიონი გახდა.

ამერიკაში გასამართ ბოლო ეტაპზე „ფერარი“ არ გაემგზავრა. ფორმალურად ეს გადაწყვეტილება მონცაზე მომხდარ ტრაგედიას უკავშირდებოდა, თუმცა ვადაზე ადრე გაჩემპიონებულ ჰილს ძალიან უნდოდა დაღუპული მეგობრის პატივსაცემად საშინაო ტრასაზე გამოსვლა. პრესამ „ფერარი“ გააკრიტიკა. ჟურნალისტებს მიაჩნდათ, რომ ღირდა ოკეანის გაღმა ერთადერთი ბოლიდის გაგზავნა. ამ კამათმა მომავალ კონფლიქტს დაუდო სათავე.

1962 წელს კონკურენტები გაძლიერდნენ, „ფერარისთვის“ კი სეზონი სკანდალით დასრულდა: რამდენიმე წამყვანმა ინჟინერმა ხელმძღვანელობის პრესინგს ვერ გაუძლო და სკუდერია დატოვა. „მეამბოხეებმა“ საკუთარი გუნდი შექმნეს - ATC (Automobili Turismo e Sport), ფილ ჰილი საჭეს მიუჯდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრისგან არაფერი გამოვიდა - მანქანა არასაიმედო აღმოჩნდა და წლის ბოლოს გუნდი დაიშალა. 1964 წელს ჰილი Cooper-ში **ბრიუს მაკლარენს** შეუწყვილდა, მაგრამ იქაური მანქანაც პრობლემებით გამოირჩეოდა: საუკეთესო შედეგი ბრენდს-ჰეტჩში დაკავებული მეექვსე ადგილი იყო. ამერიკელმა პილოტმა ფორმულას დატოვება გადაწყვიტა.

1966 წელს ფილ ჰილმა ფილმ „გრანპრის“ გადაღებებში მიიღო მონაწილეობა (მის მანქანაზე კინოკამერა იყო დამონტაჟებული) და ნიურბურგრინგზე 1000-კილომეტრიანი რბოლა მოიგო. პარალელურად ამერიკელი წარმატებით ხელმძღვანელობდა ისტორიული მანქანების სარესტავრაციო სახელოსნოს, ტელევიზიით რბოლების კომენტარს აკეთებდა და ვაჟ **დერეკს** ავარჯიშებდა, რომელსაც ავტოსპორტში დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

ფილ ჰილი ფორმულა 1-ში თავის გამოსვლას მხოლოდ კარიერის ერთ ჩვეულებრივ ეტაპს უწოდებდა. სამაგიეროდ, მას ძალიან უყვარდა ლე მანი, რისი დასტურიცაა 1958, 1961 და 1962 წლებში სამი გამარჯვება.

# ხმელთაშუა ზღვის გრანპრი ვალენსიაში?



გასულ უიქ ენდზე ვალენსიაში გამართულ რბოლას „ევროპის გრანპრის“ გარდამავალი სახელი ჰქონდა მინიჭებული. სავარაუდოდ, მომავალ წელს კონტინენტის გრანპრი გერმანიის „ნიურბურგრინგზე“ დაბრუნდება, ამიტომაც ვალენსიას ეტაპს სახელის შეცვლა მოუწევს.

ივლისში ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** ესპანეთში „მსოფლიოს გრანპრის“ ჩატარების იდეა გაახმოვანა, მაგრამ შვეიცარიული Motorsport Aktuell წერს, რომ ჩემპიონატის ხელმძღვანელობას სარეზერვო ვარიანტად სხვა სახელწოდებაც აქვს - „ხმელთაშუა ზღვის გრანპრი“.

ფორმულა 1-ს მსგავსი სახელწოდების ეტაპი წინა წლებიდან ახსოვს. 1994-95 წლებში იაპონიაში წყნარი ოკეანის გრანპრი იმართებოდა. ეს ოფიციალური ეტაპი იყო. კიდევ არსებობდა თასი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას ეძღვნებოდა, ოღონდ ის ვერ ხვდებოდა ჩემპიონატის შემადგენლობაში.

ცურვა



# კომიკოსი ფელპსი

პეკინის ოლიმპიური თამაშების გმირი **მაიკლ ფელპსი** ახალ ფრონტზე აპირებს ძალების მოსინჯვას. 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი პოპულარული ამერიკული ტელეშოუს რამდენიმე კომედიურ ეტიუდში მიიღებს მონაწილეობას.

ფელპსი ჰიპ-ჰოპის შემსრულებელ **ლილ უეინთან** ერთად გავა სცენაზე. შოუს ახალი სეზონის პრემიერა 13 სექტემბერს არის დაგეგმილი.

Saturday Night Live - მუსიკალურ-იუმორისტული შოუა, რომელიც NBC-ის ტელეეთერში 1975 წლიდან გადის. გადაცემის ტრანსლირება ნიუ-იორკის როკფელერ-ცენტრის ცათამბჯენიდან მიმდინარეობს. შოუს ორგანიზატორები სტუდიაში ცნობილ მუსიკოსებს, მსახიობებს, კულტურის მოღვაწეებს იწვევენ, რომლებიც პროგრამის სკეტჩების დადგმაში იღებენ მონაწილეობას.

ფელპსი პირველი სპორტსმენი არ არის, ვინც Saturday Night Live-ზე მიიწვიეს. სხვადასხვა წლებში გადაცემის სტუმრები იყვნენ ჰოკეისტი **უეინ გრეტცკი** და ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავები - **ტომ ბრედი და პეიტონ მენინგი.**

კალათბურთი

## დირკი ნაკრებს გამოეთხოვა?

გერმანიის ნაკრების ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** გამოაცხადა, რომ 2009 წელს პოლონეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობას არ მიიღებს.

ამასთან, „დალას მავერიქსის“ სუპერვარსკვლავმა არ გამორიცხა ლონდონის ოლიმპიადაზე თამაში. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გერმანიის ნაკრები დირკის გარეშე მოიპოვებს 2012 წლის თამაშებზე გამოსვლის უფლებას.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრებმა პეკინის ოლიმპიადაზე სუსტად ითამაშა და ჯგუფური ეტაპიდან გასვლა ვერ შეძლო.

## ხიმენესმა ესპანეთი დატოვა

ესპანეთის ნაკრები სახეს იცვლის. მთავარი მწვრთნელის **აიტო გარსია რენესესის** წასვლის შემდეგ, სანაკრებო კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო გუნდის კაპიტანმა **კარლოს ხიმენესმა** - იტყობინება კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვებ-გვერდი.

1997 წლიდან მოყოლებული, ეს ფორვარდი ნაკრების მაისურით 187-ჯერ გავიდა მოედანზე - მოქმედ ესპანელ კალათბურთელებს შორის ეს საუკეთესო მაჩვენებელია. ევროპის ჩემპიონატებზე ხიმენესს ოთხი მედალი აქვს მოპოვებული (ვერცხლი - 1999, 2003 და 2007 წლებში და ბრინჯაო - 2001 წელს).

ჰოკეი

## საკიკი ერთი წლით დარჩა

„კოლორადო ევალენშის“ ლეგენდარულმა კაპიტანმა **ჯო საკიკმა** აქტიური კარიერის დასრულება გადაიფიქრა და კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კლუბთან კონტრაქტი. პრესისთვის უცნობი დარჩა იმ თანხის ოდენობა, რომელსაც 39 წლის ფორვარდი მომავალ სეზონში მიიღებს.

*„ბედნიერი ვარ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ ერთი წლით დარჩენის საშუალება რომ მომეცა. არც ისე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ჰოკეის თამაში ძველებურად მიყვარს. ჩემს ფიზიკურ ფორმას რაც შეეხება, ის დამაკმაყოფილებელია - არანაირი ტრავმა არ მაწუხებს. ასე რომ, მზად ვარ და მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას“*, - განუცხადა საკიკმა ტელეკომპანია TSN-ს.

მძლეოსნობა

## მარია ბოლოჯერ გაირბენს

ცნობილი მოზამბიკელი მძლეოსანი **მარია მუტოლა** კარიერას ასრულებს. 800 მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული ციურიხის ტურნირზე უკანასკნელად გავა თავისი საყვარელი დისტანციის გასარბენად.

*„სპორტში დიდი გზა გავიარე და სიმართლე გითხრათ, რამდენიმე წლის წინ არც კი მეგონა, თუ პეკინის ოლიმპიადამდე მივაღწევდი. მაგრამ ჩემს მწვრთნელებს სჯეროდათ ამის და მეც დიდ სპორტს ამდენი ხანი შემოვრჩი. პეკინში მეხუთე ადგილი დავიკავე და ახლა უკანასკნელად სტარტზე სწორედ ციურიხში გავალ - იმ ტურნირზე, სადაც თავის დროზე ზედიზედ ათი სტარტი მოვიგე.*

*კარიერის დასრულების შემდეგ მოზამბიკში დაბრუნებას და იქაური ბავშვებისთვის დახმარების გაწევას ვაპირებ. საკუთარი ფონდი მაქვს დაარსებული და იმედია, მისი წყალობით ჩემს ქვეყანაში ახალი, ნიჭიერი მძლეოსნები გამოჩნდებიან“*, - მოჰყავს მუტოლას სიტყვები სააგენტო „როიტერს“.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**